



შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო  
უნივერსიტეტი“

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი (სკოლა)

სპეციალობა: საბანკო საქმე

**სამაგისტრო ნაშრომი**

საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციები და საბანკო  
პროდუქტების ტრანსფორმაციის საკითხები საქართველოს  
ეკონომიკურ სისტემაში

სტუდენტი: ლუკა შაიშმელაშვილი

ხელმძღვანელი: პროფესორი სიმონ თავართქილაძე

თბილისი

## ანოტაცია

საბანკო სისტემა საქართველოში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობას განაპირობებს. დღევანდელ ქართულ საბანკო სისტემას 1991 წელს ჩაეყარა საფუძველი, რადგან დაახლოებით 70 წელი, საქართველოს საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, არამართო ქართული ბანკები არ არსებობდა, არამედ კერძო დამოუკიდებელი საბანკო სისტემის არსებობა არ იყო ნებადართული მაშინდელი კანონმდებლობის თანახმად. იყო მხოლოდ სახელმწიფო ბანკები, რომლებიც ძირითადად ფულის შემნახველი სალაროების ფუნქციას ასრულებდნენ.

1991 წლიდან კომერციული (კერძო) ბანკების დაარსება და განვითარება დაიწყო. დაიწყო, თუმცა ძალიან ქაოსურად. იმ პერიოდისათვის პრობლემას არავისთვის წარმოადგენდა საბანკო ლიცენზიების მიღება. საბანკო ლიცენზიების მიღებისათვის გასავლელი ყველანაირი პროცედურა ძალიან გამარტივებული იყო. ამ ყველაფრის შედეგად, ორ წელიწადში ასობით ბანკი გაიხსნა მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა ძალიან მალე მათი უმრავლესობა დაიხურა. უმრავლეს შემთხვევაში საქმე გვექონდა ფინანსურ თაღლითობასთან, რომლებსაც ახორციელებდნენ კომერციული ბანკების მფლობელები. თავდაპირველად, კომერციული ბანკები მოსახლეობისგან ფულს იღებდნენ ანაბრის (დეპოზიტის) სახით, შემდეგ მუშაობას წყვეტდნენ და მათი მფლობელები ქვეყნიდან გარბოდნენ. ამას შედეგად მოყვა ის, რომ კერძო საბანკო სისტემაში ისედაც გაუთვინცობიერებელმა მოსახლეობამ კიდევ უფრო დაკარგა ნდობა ბანკების მიმართ. თან დაერთო ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დროს სახელმწიფო ბანკის შემნახველ სალაროში შეტანილი ფული ხალხს აღარ დაუბრუნდა.

მიუხედავად ფართომასშტაბიანი თაღლითობებისა და საბანკო კულტურის ფაქტობრივად არარსებობისა, 90-იან წლებში დაფუძნებულმა თბს ბანკმა და საქართველოს ბანკმა წლებს გაუძლო და დღესაც ყველაზე წარმატებით არსებობენ ქართულ ბაზარზე.

ქართული საბანკო სექტორის განვითარების შესაფასებლად ყველაზე კარგ ინდიკატორს წარმოადგენს კომერციული ბანკების აქტივების, მოგებიანობის და მათ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ჯამური მოგების გადასახადის ცვლილების ტენდენცია. ასევე, საქართველოს მასშტაბით არსებული კომერციული ბანკების, მათი ფილიალების თუ სერვისცენტრების და ქართულ საბანკო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილების დინამიკა.

ჯამური საბანკო აქტივების მხრივ ბოლო 10-12 წელიწადში ძალიან დიდი პროგრესი შეინიშნება. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2009 წელს კომერციული ბანკების ჯამური აქტივები 7,8 მლრდ ლარი იყო, 2019 წელს კი - 39 მლრდ ლარს გადააჭარბა, ანუ 10 წელიწადში კომერციული ბანკების ჯამური აქტივები დაახლოებით 5 - ჯერ გაიზარდა.

რაც შეეხება საბანკო სექტორის მოგებიანობას აქაც შეინიშნება დადებითი ტენდენციები. თუ ბოლო ათწლეულის მაგალითს განვიხილავთ, ვნახავთ რომ 2010 წელს საქართველოში კომერციული ბანკების ჯამურმა წმინდა მოგებამ 156,3 მლნ ლარი შეადგინა, 2018 წელს კი - 914,7 მლნ ლარი, ანუ 8 წელიწადში კომერციული ბანკების ჯამური წმინდა მოგება გაიზარდა 5,85 - ჯერ. ასევე უნდა აღვნიშნოთ საქართველოს კომერციული ბანკების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ჯამური მოგების გადასახადის ზრდის ტენდენცია. თუ 2012 წელს კომერციული ბანკების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ჯამური მოგების გადასახადი შეადგენდა 34 მლნ ლარს, 2018 წლის მონაცემებით ეს რიცხვი უტოლდება 123 მლნ ლარს, ანუ 7 წელიწადში 3,61 - ჯერ არის გაზრდილი კომერციული ბანკების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ჯამური მოგების გადასახადის ოდენობა.

ბოლო 28 წელიწადში კომერციული ბანკების რაოდენობის კლების მიუხედავად, საქართველოს საბანკო სექტორი იზრდება, რაც უფრო დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და წინსვლაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბანკო სექტორი არის ქვეყნის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ღერძი. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორის ზომა 39,68 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღსანიშნავია ასევე საბანკო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობაც. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2017 წელს საქართველოს საბანკო სექტორში 24,853

ადამიანი იყო დასაქმებული. ხოლო რაც შეეხება კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთის ცვლილების ტენდენციას, 2009 წლის დეკემბერში წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 20,8 % - ს, ხოლო 2018 წელს კი - 11,7 % - ს, ანუ შემცირდა 1,77 - ჯერ. კომერციულ ბანკებში განთავსებული ანაბრების (დეპოზიტების) მოცულობა ეროვნულ ვალუტაში 2008 წელს იყო 1 მლრდ ლარი, ხოლო 2018 წელს კი - 8,5 მლრდ ლარი, რაც ნიშნავს რომ 10 წელიწადში კომერციულ ბანკებში განთავსებული ანაბრების მოცულობა გაზრდილია 8,5 - ჯერ, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებული ანაბრების (დეპოზიტების) მოცულობა 2008 წელს იყო 2,6 მლრდ ლარი და 2018 წელს კი - 14,5 მლრდ ლარი, ანუ გაიზარდა 5,57 - ჯერ.

ერთი მხრივ, ბანკების რაოდენობის შემცირება, მეორე მხრივ კი კომერციულ ბანკებში განთავსებული ანაბრების (დეპოზიტების) და კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ზრდა, წლიდან წლამდე გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება, გვიჩვენებს რომ საბანკო სექტორში კონკურენციისათვის გადამწყვეტი არა ბანკების რაოდენობა, არამედ არსებული ბანკების განვითარების დონეა. მთავარია აღარ მოხდეს ბანკების გაკოტრება. წარსულში იყო რიგი შემთხვევებისა როცა ზოგიერთი ბანკი გაიყიდა, ზოგიერთი უფრო დიდ ბანკს მიუერთდა, ზოგის ლიკვიდაცია განხორციელდა, მაგრამ ეს პროცესები ისე წარიმართა რომ მენაბრეები არ დაზარალებულან. სწორედ ესაა მნიშვნელოვანი საბანკო სექტორისადმი ნდობის შენარჩუნებისათვის და კიდევ უფრო მეტად განვითარებისათვის.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს თანამედროვე კომერციული ბანკების საქმიანობა ეკონომიკურ სისტემასა და ფულად ბაზარზე. კვლევის საგანს კი - კომერციული ბანკების პროდუქტებისა და მომსახურების განვითარების პერსპექტივები და ტენდენციები.

სამაგისტრო ნაშრომში შევეცდები ვაჩვენო და დავახასიათო საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციები, გავაანალიზო მათი სახელმწიფო რეგულირების მდგომარეობა და ამის საფუძველზე საბანკო საქმიანობის სახელმწიფო

რეგულირების სრულყოფისა და მდგომარეობის გამოსწორებისათვის რეკომენდაცია-  
წინადადება შევიბუშავო.

## სარჩევი

ანოტაცია.....	2
Annotation.....	5
შესავალი.....	9
თავი I საქართველოს კომერციული ბანკების წარმოშობისა და საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციები.....	11
§1.1 საბანკო სექტორის ზოგადი დახასიათება.....	18
§1.2 საბანკო სექტორის აქტივების დინამიკა და მოგებიანობის ტენდენციები.....	21
§1.3 კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები და მიღებული ანაბრები.....	27
თავი II კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების ცნება და ეკონომიკური მნიშვნელობა.....	30
§2.1 ციფრული ტექნოლოგიების როლი საბანკო სექტორის განვითარებაში.....	35
თავი III საქართველოს საბანკო სისტემის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი პირობები.....	41
§3.1 საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის განმტკიცების აუცილებლობა.....	42
§3.2 საბანკო სისტემის და ბაზრის ინსტრუქციური განვითარების აუცილებლობა და პერსპექტივები.....	43
§3.3 საბანკო სისტემის კონსოლიდაცია და კონკურენციის ხელშეწყობა.....	44
§3.4 უცხოური კაპიტალის მონაწილეობა და მისი როლი.....	46
§3.5 საკრედიტო და სადეპოზიტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.....	47
§3.6 საგადამხდელო სისტემები.....	47
თავი IV საბანკო სისტემის ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებანი საქართველოში.....	48
§4.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნები ქვეყნებში არსებული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე.....	51
§4.2 კომერციული ბანკების არაპროფილური საქმიანობა საქართველოში.....	53
დასკვნა.....	57

## შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია ეკონომიკური ზრდის მაღალი და მდგრადი ტემპების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ეკონომიკაში საბანკო სექტორის როლის ამაღლება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. საბანკო სექტორის განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ქვეყანაში შექმნილ საინვესტიციო მდგომარეობაზე, საბანკო საქმიანობის რეგულირებაზე, საფინანსო სისტემის სხვადასხვა სეგმენტში არსებულ მდგომარეობასა და დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობაზე.

საქართველოში საფინანსო შუამავლობის თითქმის 99 % - ს საბანკო სექტორი მოიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინანსური რესურსების მობილიზებას და მათი საინვესტიციო რესურსებად გარდაქმნას უპირატესად ახორციელებენ საბანკო ინსტიტუტები.

საბანკო სისტემის დინამიური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკებისა და მთავრობის ერთიანი კონცეფციის არსებობა და მისი რეალიზებისათვის ერთობლივ, თანმიმდევრულ ქმედებათა განხორციელება. ამისათვის საჭიროა შესაბამისი პროგრამის შემუშავება, რომელშიც ნათლად იქნება ჩამოყალიბებული ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს საბანკო სისტემის ფუნქციონირება და უნდა დაისახოს მისი განვითარების კონკრეტული გზები, განვითარების ტენდენციები.

საქართველოს ეროვნული ბანკისათვის საშუალოვადიანი პერსპექტივის ძირითადი ამოცანაა არსებული პრობლემების თანდათანობით აღმოფხვრა და საბაზრო კონკურენციის პირობებში საბანკო სისტემის მდგრადობისა და ეფექტიანობის განმტკიცებასთან ერთად, საბანკო სექტორის დინამიური ზრდა და, შედეგად, ქვეყნის ეკონომიკაში მისი როლის ამაღლება.

საქართველოს საბანკო საქმიანობის რეგულირების მექანიზმების საკითხების შესწავლას განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს მართვის თანამედროვე ეტაპზე ბანკების როლის გაძლიერება. საბანკო საქმიანობა ნიშნავს საფინანსო ინსტიტუტთა ერთობლივ მუშაობას, სწორედ ამიტომ, მასზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ამავე ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, ეფექტურობა და განვითარების მიმართულება. საბანკო სისტემის საქმიანობის რეგულირება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს რეფორმების თანმიმდევრულ განხორციელებას, იურიდიულ-სამართლებრივი საკანონმდებლო აქტების დროული მიღების საფუძველზე საბანკო სისტემის განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო საქმიანობის მნიშვნელობა განპირობებულია ასევე იმ როლით, რომელსაც იგი ასრულებს ეკონომიკის ტრანზაქციური დანახარჯების საერთო ღონის შემცირებასა და კაპიტალის გადინების პროცესის შეზღუდვაში.

სამაგისტრო ნაშრომში ჩემს ძირითად მიზანს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ახალი საბანკო სისტემის ფორმირებისა და განვითარების პროცესში კომერციული ბანკების და ეროვნული ბანკის ეკონომიკური თავისებურებების განხილვა, საბანკო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მდგომარეობის გაანალიზება და ამის საფუძველზე საბანკო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფისა და მდგომარეობის გამოსწორებისათვის რეკომენდაცია - წინადადებების შემუშავება. ნაშრომი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს და ასევე ფართო საზოგადოებას, რომელიც დაინტერესებულია საბანკო საქმის თეორიების ეროვნული კონცეფციის დამუშავებით.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ბარბაქაძე ხათუნა - საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში

# ტექსტის ძირითადი ნაწილი

## თავი I. კომერციული ბანკების წარმოშობისა და საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციები

უხსოვარი დროიდან საქართველოში არსებობდა უამრავი მევახშე და ზარაფი. ზარაფების და მევახშეების მიერ გატარებულ საბანკო ოპერაციებს ორტალი ეწოდებოდა. ქართლ-კახეთში მეფე ერეკლეს დროს საზარაფო დანესებულებებში ხდებოდა მონეტების მოჭრა და საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციები.

მეცნიერები ქართული ვერცხლის მონეტას „კოლხური თეთრი“ ძველი წელთაღრიცხვის VI-III საუკუნეებით ათარიღებენ. ქართული ოქროს მონეტა „კოლხური სტარტერი“ იჭრებოდა ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნემდე. VII საუკუნეში ქართლის ერისთავის სტეფანოზის მონეტა იყო მიმოქცევაში, მე-18 საუკუნეში კი - ორაბაზიანი „ქართული თეთრი“. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში უძველეს ხანაში არსებობდა პრიმიტიული ფულად-საკრედიტო ურთიერთობები.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში გამოიყოფა საბანკო სისტემის 3 ძირითადი ეტაპი<sup>2</sup>. I ეტაპზე შეიქმნა საბანკო საქმის საფუძვლები. საქართველოში პირველი არასახელმწიფო ბანკი იყო კომერციული, რომელიც 1989 წელს ჩამოყალიბდა. მისი საწესდებო ფონდი იყო 500 ათასი მანეთი, ხოლო I კოოპერატიული ბანკიც იმავე წელს შეიქმნა 5 მლნ მანეთის საწესდებო ფონდით. ორივე ბანკი, როგორც იმ პერიოდში ჩამოყალიბებული სხვადასხვა კომერციული ბანკები, ემორჩილებოდა და ექვემდებარებოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკს. 1991 წლიდან შეიქმნა სახელმწიფო ბანკების ახალი სტრუქტურა და დაიწყო საქართველოს საბანკო სისტემის ტრანსფორმაცია. ტრანსფორმაციის მოდელი გულისხმობდა ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის შექმნას. საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც მონეტარული პოლიტიკის წარმმართველი და საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანო, მეორე მხრივ კი, კომერციული ბანკების სისტემა, რომლის შექმნა 1992 წლიდან დაიწყო და მოგვიანებით (1993-1995 წლებში) ხუთი

სახელმწიფო ბანკის პრივატიზების შემდეგ დასრულდა. შეიქმნა კომერციული ბანკები, რომლებიც უშუალოდ მოემსახურებოდნენ მეურნეობას. ნ საქართველოს ეროვნული ბანკი შეიქმნა სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის ბაზაზე, სებ-ის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, რომელიც იმ დროისათვის არ იყო სრულყოფილი და საჭიროებდა დახვეწას. ამავდროულად ემატებოდა კადრების კვალიფიკაციის დაბალი და არადაამაკმაყოფილებელი დონე და ეროვნული ბანკის საქმიანობაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლების არცთუ იშვიათი ჩარევა.

საქართველოს ეროვნული ბანკი 90-იან წლებში ატარებდა ძალიან ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რაც გაუმართლებელი იყო. ქვეყანაში იმატა კომერციული ბანკების რიცხვმა, ეს იყო განპირობებული არასრულყოფილი საბანკო კანონმდებლობით, საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობით და ბანკების ლიცენზირების სუსტი ადმინისტრირებით.

საქართველოს საფინანსო სისტემის გარდაქმნის პროცესი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა. კომერციული ბანკების ლიცენზირებისათვის დაწესებულმა ლოიალურმა მოთხოვნებმა და ადმინისტრირების ნორმებმა (მაგალითისთვის, 1994 წელს ბანკებისათვის დაწესებული მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა ეროვნული ბანკის მხრიდან დაახლოებით 500 აშშ დოლარს შეადგენდა), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არასწორი პოლიტიკის განხორციელებამ ხელი შეუწყო ქვეყანაში არამდგრადი, არასაიმედო და საეჭვო საბანკო დაწესებულებების რაოდენობის სწრაფ ზრდას. თუ საქართველოში 1991 წელს მხოლოდ 5 კომერციული ბანკი არსებობდა, 1993 წლის ბოლოს მათი რიცხვი 179 ერთეულს გაუტოლდა, ხოლო 1994 წელს ქვეყანაში 226 კომერციული ბანკი მოქმედებდა. კომერციული ბანკების უდიდესი ნაწილი 1994 წელსვე აღმოჩნდა მრავალი ფინანსური სირთულის წინაშე. ფაქტობრივად, ამ პერიოდში თითქმის ნულამდე შემცირდა დეპოზიტების მოცულობა საბანკო სექტორში, რაც უმთავრესად ჰიპერინფლაციითა და ე.წ. „პირამიდული ბანკების“ რღვევით იყო განპირობებული.

II ეტაპზე (1992-1995 წწ) გაიზარდა ინფლაცია. ამ ეტაპს თან ახლდა რეალური საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რომელმაც ხელი შეუწყო მრავალრიცხოვანი არამყარი და არამდგრადი ბანკის ფორმირებას. პრობლემა ნათელი იყო.

საქართველოს საბანკო სისტემის ფორმირების საკითხი უნდა დამდგარიყო დღის წესრიგში, რომელიც საბანკო სისტემას გახდიდა მოსახლეობისათვის მეტად უფრო სანდოს. რეფორმის განხორციელება უმთავრესად მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით დაიწყო. პირველ რიგში, უნდა გამოესწორებინათ ლიცენზირების და ზედამხედველობის პროცესში დაშვებული შეცდომები. 1993 წელს საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა მიემართა საგანგებო ღონისძიებებისათვის და ამავე წელს ბრუნვაში შევიდა კუპონის კუპირები.<sup>3</sup>

რადგან იმ დროს ქვეყანაში მიმდინარეობდა ნეგატიური პროცესები, როგორცაა წარმოების მოცულობის შემცირება, მთავრობის სუსტი ფინანსური მდგომარეობა, მართლწესრიგის მოშლა, ეროვნული ბანკის მიერ 1992-1994 წლებში გატარებულმა ლიბერალურმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ უარყოფითად იმოქმედა კუპონის კურსზე და იგი კატასტროფულად დაეცა ანუ ხელი შეუწყო ფულის გაუფასურებას, რის შემდეგაც ეროვნული ბანკის მიერ გასაცემ საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად გაიზარდა, შეიძლება ითქვას 4 - ჯერაც კი. 1994 წლიდან 300 % - მდე გაიზარდა, 1995 წლიდან კი - 360% - მდე. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ დროულად არ გაატარა საჭირო და აუცილებელი ღონისძიებები ეროვნული ბანკის ნიშნისა და ქართული ფულის წინამორბედის ფულადი ღირსებისა და სიმტკიცის შესანარჩუნებლად.

1993 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობამ საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული კუპონი ერთადერთ საგადამხდელი საშუალებად გამოაცხადა.

1991-1994 წლებში საქართველოში წარმოების მოცულობა შემცირდა 70% - ით, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები. აუცილებელი იყო საბანკო რეფორმა ნორმალური გზით წარმართულიყო, რომ ქვეყანაში უმართავი ინფლაციური პროცესები მართვადი და კონტროლირებადი გამხდარიყო.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადანყვიტა მიმოქცევაში კუპონის მასის ზრდის შეჩერება და შემდეგ კი - მისი შემცირება.

1995 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, ხოლო 1996 წლის თებერვალში განმტკიცდა საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა და მეტი ძალაუფლება მიეცა მას საბანკო საქმიანობის ლიცენზიის შეჩერების სანქციის გამოყენების კუთხით იმ საბანკო დაწესებულებების მიმართ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ დადგენილ ნორმებს. საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის პოლიტიკა დაეფუძნა „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ მიერ შემუშავებულ და მსოფლიოში აღიარებულ „ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის 25 ძირითად პრინციპს“. აგრეთვე, შემოღებული იქნა საბანკო საქმიანობის რეგულირების ახალი წესები და პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებდა საკრედიტო რისკების ზუსტად დადგენის მიზნით აქტივების კლასიფიკაციის ახალი სისტემის შექმნას, გარე და შიდა აუდიტორული საქმიანობის მონესრიგებას და საბანკო საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტის გამიჯვნას. ყოველივე ამ ცვლილებების შედეგად რამდენიმე წელიწადში 173 ერთეულით შემცირდა კომერციული ბანკების რაოდენობა საქართველოში (1994-1997 წწ).

საბანკო სისტემის განვითარების III ეტაპი 1995 წლის მე-2 ნახევრიდან დაიწყო და დღესდღეისობითაც გრძელდება. 1997 წლიდან საქართველოს საბანკო სისტემამ სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა. საბანკო სექტორი, ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, ყოველწლიურად წინმსწრები ტემპით ვითარდებოდა. 1997 - 2004 წლებში საფინანსო შუამავლობა, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი სახეობა თითქმის 8.7 - ჯერ გაიზარდა, მაშინ როცა მშპ მხოლოდ - 1.6 - ჯერ. ეს ეტაპი შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც სტაბილიზაციის პროცესის განვითარების ეტაპი საფინანსო სფეროში, შემდგომ კი - მთლიანად ეკონომიკაში.

საქართველოს ეკონომიკაში შეინიშნებოდა პოზიტიური ძვრები ფინანსურ სფეროში. უკვე აღარ ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაბალანსება ფულადი ემისიის ხარჯზე, კუპონის კურსი სტაბილური გახდა თავისუფლად კონვერტირებადი

ვალუტების მიმართ, ეროვნულმა ბანკმა შექმნა მყარი რეზერვი და 1995 წლის 2 ოქტომბერს ქვეყნის ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოიღო ეროვნული ფულადი ერთეული - ლარი, რომელიც გაუშვეს მიმოქცევაში, როგორც შიდაკონვერტირებადი ვალუტა.

ამ პერიოდიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაიწყო ეკონომიკური ზრდა, შეჩერდა ინფლაცია, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში სტაბილური გახდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საქართველოს კომერციული ბანკები აღმოჩნდნენ რთული პრობლემების წინაშე. იმ დროისათვის ბევრი სამრეწველო საწარმო არ მუშაობდა, ზარალიანი საწარმოების რაოდენობამ იმატა, არგადახდებმა გაზარდა საკრედიტო რისკი და ბანკებს უწევდათ თავის შეკავება კრედიტების გაცემაზე.

საბანკო სისტემის რეფორმის საფუძველზე ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებდა 3 უმსხვილესი ბანკი - გაერთიანებული ქართული ბანკი, აგრომრეწვბანკი და საქართველოს ბანკი. კონკურენციის და კონცენტრაციის საბაზრო პროცესების მიმდინარეობის შედეგად კომერციული ბანკების რაოდენობა რომელიც 1994 წელს იყო 226 ერთეული, 2019 წლის მაისის მდგომარეობით 15 - მდე შემცირდა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამავე პერიოდში საბანკო საქმიანობის ლიცენზია აიღეს უცხოური კაპიტალით შექმნილმა ბანკებმა - აგრობიზნეს ბანკმა და მიკროსაფინანსო ბანკმა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს საბანკო სისტემის აქტივების და ვალდებულებების ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტაში იყო კონცენტრირებული. კერძოდ, საბანკო სისტემაში არსებული მთლიანი აქტივების 63 % უცხოური ვალუტით იყო ფორმირებული. მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლიდან ინფლაციის მაჩვენებელი შემცირდა, ლარისადმი ნდობა მოსახლეობაში კვლავ ძალიან დაბალ დონეზე იყო.

1995 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონს ჩაუყარა საფუძველი. თავდაპირველად, საკრედიტო აუქციონზე რესურსების მყიდველების და გამყიდველების სტატუსის მქონე ბანკების რაოდენობა და გაყიდული საკრედიტო რესურსების მოცულობა იყო ძალიან მცირე, მაგრამ მიუხედავად ამისა,

მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამომავლო კომერციული ბანკების ფულადი რესურსების მართვის გაფართოებაში.

2007 წელს ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონის აქტიურობამ მინიმუმს მიაღწია, რითიც ცხადი გახდა, რომ საბანკო სისტემის განვითარების შედეგად და საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო ოპერაციების დახვეწის ფონზე, ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონების გამართვა არაეფექტური იყო. აუქციონის ძირითადი ფუნქციები იყო:

- ბანკთაშორისი ბაზრის ხელშეწყობა იმ პირობებში, როცა ბანკებს შორის საკმაოდ მაღალი იყო უნდობლობის ხარისხი. ამ სიტუაციაში ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონი ხელს უწყობდა ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის ფუნქციონირებას, რადგან კომერციულ ბანკებს შორის დადებული ხელშეკრულებების შესრულების გარანტად გამოდიოდა საქართველოს ეროვნული ბანკი.
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აუქციონის ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტად გამოყენება. ეროვნული ბანკი აუქციონის მეშვეობით იღებდა ჭარბ ლიკვიდობას მიმოქცევიდან ან მიანვდიდა ლიკვიდობას მისი დროებითი დეფიციტის პირობებში.

2006 წლიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სადეპოზიტო სერთიფიკატების გამოყენება დაიწყო. 2007 წლისათვის სადეპოზიტო სერთიფიკატები ყველაზე აქტიურად გამოყენებული ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტი იყო. სახაზინო ობლიგაციებთან ერთად, სადეპოზიტო სერთიფიკატების დიდი მასა ხელს უწყობდა იმ გარემოებას, რომ გამოყენებულიყო რეპო-ოპერაციები.

ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონით ხდება რისკის გადატანა საქართველოს ეროვნულ ბანკზე, რაც აუარესებს მისი რისკების მართვას და საბოლოოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის გაზრდილ ხარჯებში შეიძლება გამოიხატოს. ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონის ფუნქციონირების საკითხი განიხილეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკურ მისიასთან 2007 წელს და მათ მიერ გაიცა რეკომენდაცია ბანკთაშორისი საკრედიტო

რესურსების აუქციონის შეჩერების შესახებ. ამის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადანაცვითა ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონების მოქმედება შეეჩერებინა. ყოველივე წინათქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალისტური გეგმიური ეკონომიკიდან გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან ნებისმიერი ეკონომიკური წყობილება არის პოლიტიკური, ეკონომიკური, საერთაშორისო კავშირების მეტად რთული სისტემა. თუ სოციალისტური საბანკო სისტემის მიზანი იყო სახელმწიფო გეგმიური დავალებების შესრულება და ამ დავალებების ფულადი ფონდების განაწილება, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობა იყო სტაბილური ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნა, საფინანსო მომსახურების ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა და საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება.

საქართველოში კომერციული ბანკების საქმიანობის და ფორმირების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბანკო სისტემაში ჩამოყალიბდა მთელი რიგი დადებითი ტენდენციები, რომელთაგან აღსანიშნავია:

- საბანკო რეფორმის განხორციელება, რაც გამოიხატებოდა კომერციული ბანკების რაოდენობის შემცირებით და მათი ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებით და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნით.
- შენარჩუნებული იქნა სხვა ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა ინფლაციური პროცესების მართვის საფუძველზე.
- საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის უმნიშვნელო ამაღლებამ სტაბილურ გაცვლით კურსზე დაყრდნობით, დადებითი ზეგავლენა მოახდინა დეპოზიტებისა და საკრედიტო დაბანდებების ზრდაზე.
- ნასესხებ სახსრებთან შედარებით დეპოზიტების ზრდის ტენდენცია მეტყველებს იმაზე, რომ კომერციული საქმიანობისათვის საჭირო რესურსების ზრდა ქვეყანაში ხდება ფულადი მასის საბანკო არხებში მოქცევის მეშვეობით.
- ბანკების კონსოლიდაციის და გამსხვილების პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა მინიმალური საწესდებო კაპიტალის ეტაპობრივმა ზრდამ.

<sup>2</sup> რ. კაკულია, თ. მურღულია - გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო სისტემის ფორმირების შესახებ.

<sup>3</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში 2007 - 2018

## §1.1 საბანკო სექტორის ზოგადი დახასიათება

ქართული საბანკო სისტემის ჩამოყალიბებიდან დღემდე შეინიშნება კომერციული ბანკების რაოდენობის შემცირების ტენდენცია, განსხვავებით კომერციული ბანკების ფილიალებისა და სერვისცენტრების რაოდენობისა, რომელიც წლიდან წლამდე შესამჩნევად იზრდება. კომერციული ბანკების რაოდენობის შემცირებას, მათ კონსოლიდაციას ხელი შეუწყო ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების მიმართ მინიმალური საწესდებო კაპიტალის გაზრდის ეტაპობრივმა მოთხოვნამ. საწესდებო კაპიტალი არის საბანკო საქმიანობის განხორციელების და უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი, რომლის მიზანია უზრუნველყოს საბანკო საქმიანობის ნორმალური ფუნქციონირება, გააძლიეროს ბანკის ოპერაციების გაფართოების შესაძლებლობები, მოახდინოს მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების ზარალის განეიტრალება, უზრუნველყოს მენაბრეთა და კრედიტორთა ინტერესების მაქსიმალური დაცვა და საბანკო სისტემაში შესაძლო ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა. კომერციული ბანკებისათვის საწესდებო კაპიტალის განსაზღვრისთვის საქართველოს საბანკო კანონმდებლობა სრულად ითვალისწინებს ბაზელის კომიტეტის სარეკომენდაციო ხასიათის დებულებებს საზედამხედველო ორგანოს მიერ კაპიტალის სიდიდის განსაზღვრის უფლებამოსილების შესახებ. მაგალითად, 90-იან წლებში მინიმალური კომერციული ბანკების მინიმალური საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 500 აშშ დოლარს, რის შედეგადაც ასობით არასაიმედო და არამდგრადი ბანკი გაიხსნა, რომლებიც ვერ სარგებლობდნენ მოსახლეობაში ნდობის ფაქტორით და უმეტესობამ მალევე შეწყვიტა არსებობა. ამის შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1997 წლის იანვარში გამოსცა ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა კომერციული ბანკების მიერ საწესდებო კაპიტალის 5 მლნ ლარამდე სავალდებულო გაზრდას. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ვალდებულნი იყვნენ 2000 წლის ბოლოსთვის


ეტაპობრივად გაეზარდათ კაპიტალი 5 მლნ ლარამდე. ამ ღონისძიებების მიზანი იყო საბანკო სექტორის შემდგომი კონსოლიდაცია. 2017 წლისათვის კი ყველა კომერციული ბანკი საქართველოში იყო ვალდებული რომ მინიმალური საწესდებო კაპიტალი ჰქონოდა მინიმუმ 12 მლნ ლარის ოდენობით.<sup>4</sup>

საზედამხედველო კაპიტალი ესაა კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების / ზარალის განეიტრალებისათვის და სხვადასხვა სახის რისკისგან დასაცავად. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 3 მაისის ბრძანებით, კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა იმუამად დაწესებული 12 მლნ ლარიდან 50 მლნ ლარამდე გაიზარდა. უწყების განმარტებით, აღნიშნული ცვლილების მიზანი იყო დაბალი კაპიტალიზაციის მქონე ბანკებში რისკის გაზრდის მოტივაციის შეზღუდვა და სისტემაში ფინანსურად მდგრადი ინსტიტუტების შემოსვლა, რასაც საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის განმტკიცებისთვის უნდა შეეწყოს ხელი. აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში არსებული მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მთელ მსოფლიოში და არ შეესაბამება ქვეყნისა და მისი ფინანსური სექტორის განვითარების დონეს. ამ ცვლილებას მხარი დაუჭირა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების გამოცემამდე საქართველოში უკვე ლიცენზირებული კომერციული ბანკებისათვის დაწესდა აღნიშნული მოთხოვნის შესრულების ვადები 3 ეტაპად, რომელთა მიხედვითაც მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 30 მლნ ლარის 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, არანაკლებ 40 მლნ ლარი 2018 წლის 30 ივნისისათვის და არანაკლებ 50 მლნ ლარი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებულმა ასეთმა პოლიტიკამ დროთა განმავლობაში გამოიწვია კომერციული ბანკების რაოდენობის კლება, მათი ფილიალების უმნიშვნელოდ შემცირება და კომერციული ბანკების სერვისცენტრების რაოდენობის მატება.<sup>5</sup>

<sup>4</sup> ხათუნა ბარბაქაძე - საბანკო საქმიანობის რეგულირების საკითხები საქართველოში, თავი III

<sup>5</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)


**გრაფიკი № 1**



წყარო: <http://www.nplg.gov.ge>

საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან კომერციული ბანკების მიმართ უნდობლობის ერთ-ერთი მიზეზი კომერციული ბანკების მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონების ოდენობა წარმოადგენს. მაგალითისათვის მოყვანილი მაქვს 5 კომერციული ბანკის მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონების მოცულობების გრაფიკი 2017 წლიდან 2019 წლამდე, სადაც ტოლს არავის უდებს საქართველოს ბანკი, შემდეგი არის თიბისი ბანკი, მე-3 ადგილს იკავებს ქართუ ბანკი, მე-4 ადგილზეა ვითიბი ბანკი და მე-5 ადგილზე ბაზის ბანკი.

ცხრილი და გრაფიკი № 2




წყარო: <http://www.nplg.gov.ge>

## §1.2 საბანკო სექტორის აქტივების დინამიკა და მოგებიანობის ტენდენციები


კომერციული ბანკის აქტივი ესაა კომერციული ბანკის მიერ მოგების მიღებისა და ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით განთავსებული საკუთარი და მოზიდული სახსრები. მეორე მხრივ, ბანკის აქტივი - ესაა ბუღალტრული ბალანსის ნაწილი, რომელშიც აღირიცხება ფულად ფორმაში შეთვისებული აქტიური ოპერაციებისგან შექმნილი სხვადასხვა აქტივი.<sup>6</sup>

ბოლო ათი წლის მაგალითზე აშკარად შეიმჩნევა კომერციული ბანკების ჯამური აქტივების ზრდის ტენდენცია. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, კომერციული ბანკების აქტივების მდგომარეობის შესახებ, საქართველოს საბანკო სექტორი 2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 15 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი. მათ შორის 14 - საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. მარტში წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 464,7 მლნ ლარით, ანუ 1,2 % - ით გაიზარდა და 2019 წლის 1 აპრილისთვის 39,4 მილიარდი ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 5,3 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 13,4 % - ია.<sup>7</sup>

გრაფიკი № 4



გრაფიკი № 7



საბანკო სექტორის მოგება საქართველოს მოსახლეობის, მედიის ყურადღებას ხშირად იქცევს. ყურადღების მიქცევის მთავარი მიზეზი არის ის, რომ შეგვიძლია ვნახოთ, რამდენია მოგება საბანკო სექტორში. საბანკო სექტორს ეროვნული ბანკი არეგულირებს და რეგულირების ერთ-ერთი მოთხოვნა ფინანსური ანგარიშების გამჭვირვალობაა. ბანკები ყოველკვარტალურად აქვეყნებენ სიღრმისეულად ჩაშლილ ფინანსურ ანგარიშებს.

ჩვენ არ ვიცით რამდენია მოგება საქართველოს ეკონომიკის სხვა სექტორებში, მაგალითად ვაჭრობაში, მშენებლობაში, სასტუმროებსა და რესტორნებში, რადგან ამ სექტორებში მოღვაწე კომპანიებს ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების ვალდებულება არ გააჩნიათ. მეტიც, არც სექტორების ჯამური მოგებები ქვეყნდება. აქედან გამომდინარე იქცევს კომერციული ბანკების მოგება დიდ ყურადღებას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველაზე მაღალი მოგება საბანკო სექტორშია. ამასთან, ბანკები რომ ფინანსურ ანგარიშებს აქვეყნებენ, ეს მხოლოდ მაღალი გამჭვირვალობის მაჩვენებელია და მეტად მისასალმებელია.

ერთია გამჭვირვალობა და მეორეა რეალურად რამდენად მაღალია ბანკების მოგება. ამ შემთხვევაში მთლიანად საბანკო სექტორის მოგებას განვიხილავთ. თუმცა სანამ გარკვეულ შედარებებზე გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კერძო კომპანიების მოგების მოცულობა არ რეგულირდება. არცერთი კანონი არ ირღვევა, თუ ეს მოგება კეთილსინდისიერი გზით არის მიღებული. თუ კეთილსინდისიერი გზით არ არის მიღებული, მაშინ მოგების სიდიდეს მნიშვნელობა არ აქვს, ყველა შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით არის დასჯადი. მაშინ რატომ აწუხებს საზოგადოების ნაწილს ბანკების მაღალი მოგება? ამ კითხვას საუკუნეების ისტორია აქვს, როცა ფულის გასესხება ანუ მევახშეობა ჯერ კიდევ ცოდვად ითვლებოდა. თანამედროვე სამყაროში ბანკების მოგებას ძირითადად რადიკალურად მემარცხენე მსოფლმხედველობის ადამიანები უპირისპირდებიან, რომლებსაც კომერციული საქმიანობით მიღებული მოგება ამორალურად მიაჩნიათ. ან უბრალოდ ის ადამიანები უპირისპირდებიან, ვისაც ამ გზით ბანკების დაშანტაჟება სურთ.

ბანკების მოგება რომ მართლაც მაღალი იყოს, ამაში ცუდი არაფერია. საბანკო ბიზნესით დაინტერესებული ადამიანებისთვის, პოტენციური ინვესტორებისათვის და ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობით დაინტერესებული ეკონომისტებისათვის, მართლაც აქვს მნიშვნელობა იმის ცოდნას, თუ რამდენად მომგებიანია ქართული საბანკო სექტორი. ზოგადად, რაც მეტია სექტორში მოგების ღონე, მით მეტია ამ სექტორის განვითარების და სექტორში ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი, რაც მომავალში მომსახურების გაუმჯობესებას და სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას შეუწყობს ხელს.

საბანკო სექტორში მოგების სიდიდის შეფასების ყველაზე ადეკვატური მაჩვენებლებია უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA) და უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE). ორივე მათგანის მიხედვით ქართული ბანკები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით წამყვან ადგილებს იკავებენ.

განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელი გაცილებით დაბალია, ვიდრე საქართველოში. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში 15 %-ს არ სცდება, აშშ-ში 9 % - ის ფარგლებშია. თუმცა აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ


განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში ზოგადად მოგებიანობის უფრო დაბალი დონეა (მაღალი კონკურენციის გამო), ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. ასე რომ არ იყოს, განვითარებადი ქვეყნები უცხოურ ინვესტიციებს საერთოდ ვერ მოიზიდავენ, ინვესტორებს სწორედ მოგების მაღალი დონე იზიდავთ.

კონკრეტულად თუ ვნახავთ დიდ ქართულ ბანკებს, კაპიტალზე უკუგების (წმინდა მოგება სააქციო კაპიტალის მიმართ) შემდეგი მაჩვენებლები აქვთ: „საქართველოს ბანკი“ - 28,6 %, „თიბისი ბანკი“ - 18,7 %, „ლიბერთი ბანკი“ - 23,2 %, „ქართუ ბანკი“ - 16,1 %, „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ - 12 %.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოში კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ (მოგების გადასახადის შემდგომმა მოგებამ) 869 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 191 მლნ ლარით (28 % - ით) მეტია. 2016 წელს ბანკების წმინდა მოგება 679 მლნ ლარი იყო.

ამჟამად საქართველოში სულ 15 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს. ცალკეული ბანკების მიხედვით 2017 წელს ყველაზე მაღალი მოგება - 372 მლნ ლარი - „საქართველოს ბანკმა“ მიიღო. შემდეგ მოდის „თბს ბანკი“ 296 მლნ - იანი მოგებით. მე-3 ადგილზეა „ლიბერთი ბანკი“ 52,4 მლნ - ით, ხოლო მეოთხეზე - „ბანკი ქართუ“ 36,8 მლნ ლარით. საბანკო სექტორში გამომუშავებული მოგების 87 % დასახელებულ 4 ბანკზე მოდის.


ეროვნული ბანკის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2018 წელს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ (მოგების გადასახადის შემდგომმა მოგებამ) 914,7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებელზე 54,9 მლნ ლარით (5,2%) - ით მეტია. 2017 წელს ბანკების წმინდა მოგება 869 მლნ ლარი იყო. 2016 წელს 679 მლნ ლარი, 2015-ში - 537 მლნ ლარი, 2014-ში კი - 474 მლნ ლარი. კონკრეტულად 2018 წლის ბოლო თვეში - დეკემბერში, კომერციული ბანკების მოგებამ 119 მლნ ლარი შეადგინა. 2017 წლის დეკემბერში ბანკებმა 153 მლნ ლარის მოგება ნახეს.<sup>8</sup>



წყარო: <https://www.nbg.gov.ge>

2018 წელს მოგების გადასახადის სახით ბანკებმა სახელმწიფო ბიუჯეტში 123 მლნ ლარი გადაიხადეს, 2017 წელს კი - 91 მლნ ლარი. საგულისხმოა, რომ ბოლო ტენდენციით კომერციული ბანკების წმინდა მოგება იზრდება. 2018 წელს ბანკების ჯამურმა შემოსავალმა 4,2 მილიარდი ლარი შეადგინა, რომლის 79 % საპროცენტო შემოსავლებზე, ხოლო 21 % არასაპროცენტო შემოსავლებზე მოდის. 2017 წელს ბანკების ჯამური შემოსავალი იყო 3,6 მილიარდი ლარი, რომლის 77 % იყო საპროცენტო შემოსავლები, ხოლო 23 % არასაპროცენტო შემოსავლები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბანკო სექტორი მოგებიანობით მსოფლიო ათეულშია. ბანკების წლიური მოგების ზრდის ტემპი მინიმუმ 6-ჯერ აღემატება ქვეყნის ეკონომიკის ზრდას.<sup>9</sup>



წყარო: <https://www.nbg.gov.ge>

<sup>6</sup> ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა

<sup>7</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი

<sup>8</sup> ბესო ნამჩავაძე - 20 მარტი, 2018 წელი forbes.ge

<sup>9</sup> forbes.ge - 21 იანვარი, 2019 წელი

### §1.3 კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები და მიღებული ანაბრები (დეპოზიტები)

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და კერძო მევახშეების მევალება. პირველ რიგში დავაკონკრეტოთ, თუ რასთან შედარებით შეიძლება იყოს ქართულ საბანკო სექტორში სესხებზე საპროცენტო განაკვეთები ძვირი ან იაფი. თუ მეზობელ ქვეყნებში მოქმედი ბანკების პროცენტებს შევადარებთ, დაახლოებით იგივე ან ოდნავ უკეთეს სურათს მივიღებთ, მაგრამ თუ დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებს შევედრებით, ვნახავთ, რომ ქართული საბანკო პროდუქტები ბევრად ძვირია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია თუ რა პარამეტრებისგან შედგება საპროცენტო განაკვეთი, ჰომ არ არის ის ხელოვნურად გაზრდილი და რამდენად ობიექტური ეკონომიკური საფუძველი აქვს პროცენტების იმ განაკვეთებს, რასაც კომერციული ბანკები მომხმარებლებს სთავაზობენ?

სპეციალისტების განმარტებით, საბანკო სესხებზე საპროცენტო განაკვეთების მოცულობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე, ცენტრალური ბანკის მონეტარულ და საზღვარგარეთურ პოლიტიკაზე, ფინანსურ სისტემაში არსებულ კონკურენციაზე.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, კომერციული ბანკების სესხებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები კლებადი ტენდენციით ხასიათდება და თუ მაგალითად 1996 წელს საშუალოდ 64,4 % იყო, 2019 წელს 16,6 % დაფიქსირდა. საინტერესოა რა ძირითადი კომპონენტებისგან შედგება ბანკის მიერ სესხზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთი. სპეციალისტები განმარტავენ, რომ პირველ რიგში, ეს არის დეპოზიტებზე არსებული საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც 2017 წელს 4 % - ს შეადგენდა. ამას ემატება ლიბორი, ბანკთაშორის სესხებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, ანუ ის, თუ რა პროცენტში იზიდავენ თავად კომერციული ბანკები თანხებს უცხოურ ვალუტაში და ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2 % - ს შეადგენს.


გასათვალისწინებელია მომსახურების პროცენტი, რომელიც დაახლოებით 2,5 % - ია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია რისკის პრემია, რომელსაც ბანკი გაიანგარიშებს მსესხებლის გადამხდელუნარიანობიდან გამომდინარე. საცალო სესხების დროს რისკის პრემია მნიშვნელოვნად ზრდის საპროცენტო განაკვეთს.

სავსებით ლოგიკურია მოსაზრება, რომ ქართულ საფინანსო ბაზარზე სერიოზული კონკურენტის გარეშე დარჩენილ საბანკო სექტორს, შესაძლებლობა აქვს პროცენტები მაღალ ნიშნულზე შეინარჩუნოს. კონკურენციის არსებობის შემთხვევაში, ფინანსური ორგანიზაციები კლიენტების მოსაზიდად, ბუნებრივად ცდილობენ საპროცენტო განაკვეთების შემცირებას და საფინანსო პროდუქტების დივერსიფიკირებას.

ევროზონაში საშუალოდ 5 წლამდე სამომხმარებლო სესხის საპროცენტო განაკვეთი, უკანასკნელი მონაცემებით 4,9 % - ს შეადგენს. ბინის შესასყიდად გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთი 1,8 % - ია, ხოლო სხვა სესხებზე საშუალოდ 2,8 % ფიქსირდება.


დასკვნის სახით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვნად განაპირობებს საბანკო სესხებზე პროცენტების დანევას. კავკასიის რეგიონში ძირითადად გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებია და საბანკო სესხებიც შედარებით ძვირია. პარალელურად კი, განვითარებულ ქვეყნებში საპირისპირო სურათია. მარტივად რომ ვთქვათ, იათი ფული იქ არის, სადაც ეფექტური მმართველობა და კონკურენციაა საფინანსო სექტორში.<sup>10</sup>

**გრაფიკი № 7**



წყარო: <http://www.nplg.gov.ge>

გრაფიკი № 8



წყარო: <https://www.nbg.gov.ge>


საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2019 წლის 1 აპრილისათვის 23,1 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 209,4 მლნ ლარით ანუ 0,9 % - ით მეტია პირველი მარტისათვის არსებულ მაჩვენებელზე. მარტში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა ვადიანი დეპოზიტების შემცირებას 157,4 მლნ ლარით, ანუ 1,6 % - ით შემცირდა, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები გაიზარდა 366,8 მლნ ლარით, ანუ 2,8 % - ით.

დეპოზიტების ლარიზაციის კოეფიციენტმა მიმდინარე წლის 1 აპრილისათვის 38,15 % შეადგინა. 1 მარტის მდგომარეობასთან შედარებით, დეპოზიტების ლარიზაცია გაიზარდა 0,48 % ით.

ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შენონილმა საპროცენტო განაკვეთმა 5,6 % შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 7,3 %, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2,7 %.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 84,2 % შეადგინა, ხოლო ევროს წილმა 14,3 %.<sup>11</sup>

**გრაფიკი № 9**



წყარო: <https://www.nbg.gov.ge>

<sup>10</sup>სულხან მელაძე sputnik-georgia.com 19 ივლისი, 2018

<sup>11</sup> www.commersant.ge 25 აპრილი, 2019

## **თავი II. კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების ცნება და ეკონომიკური მნიშვნელობა**

უკეთ რომ ავხსნათ საფინანსო-საკრედიტო სისტემის სამართლებრივი ინფრასტრუქტურა, როგორ გამოიყენება იგი საქართველოში გადახდის მომსახურების და ფულადი კაპიტალის ერთიანი ბაზრის შესაქმნელად, აუცილებელია საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის რეგისტრაციის, ლიცენზირების და რეგულირების სისტემის ანალიზი. საბანკო რეგულირება არის ქვეყნის საფინანსო - საკრედიტო სისტემაში ძალიან მნიშვნელოვანი სამართლებრივი ელემენტი, რომელიც თავის მხრივ არის ბანკების მიმართ მოთხოვნათა დაცვის სპეციფიკური სისტემა. საბანკო ზედამხედველობის არსი, ფართო გაგებით, არის კონტროლი იმ სპეციფიკური მოთხოვნების დაცვაზე, რომლებიც ბანკებს ეკისრებათ, განვითარებული ქვეყნების მაგალითზე რომ ვთქვათ, მათი საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე, ეს არის იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლითაც სახელმწიფო ორგანო აკონტროლებს და არეგულირებს საკრედიტო ორგანიზაციებისათვის დაწესებული ეკონომიკური ნორმატივების დაცვას.

საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების მთავარი მიზანი არის საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება, კომერციული ბანკების მდგრადობის და საიმედოობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კომერციული ბანკების, მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა ინტერესების დაცვა.

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს კომერციულ ბანკებს, კერძოდ, ეროვნული ბანკის ორგანულ კანონში აღნიშნულია, რომ სააგენტო ერთადერთი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც ზედამხედველობს კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების საქმიანობას. იგი მოიცავს ლიცენზიების გაცემას და გაუქმებას, შვებულებებისა და სანქციების დანესებას, შემონახვასა და რეგულირებას. კომერციული ბანკების შესახებ კანონის თანახმად, თითოეული კომერციული ბანკი ექვემდებარება ინსპექტირებას, რომელსაც ახორციელებენ სააგენტოს ინსპექტორები ან სააგენტოს მიერ დანიშნული აუდიტორები.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საბანკო ზედამხედველობის განუვითარებლობა იწვევს:

- ეროვნული მეურნეობის სუბიექტების საბანკო დანესებულებების მიმართ უნდობლობას;
- სათანადო ინფორმაციის არარსებობის გამო კლიენტებს ფაქტიურად არ აქვთ ბანკის რაციონალური შერჩევის საშუალება;
- პანიკური განწყობის წარმოქმნის შესაძლებლობის მაღალ დონეს;
- საკრედიტო რესურსების შესაძლებელ გადადინებას უფრო მყარი საბანკო სისტემის ქვეყნის ბანკებში, რაც მთლიანობაში უარყოფითად მოქმედებს საბანკო სისტემის სტრატეგიულ პერსპექტივებზე.

მოსახლეობის ბანკებისადმი ნდობის დაქვეითება გარდამავალი ეკონომიკის პირობებში გამოწვეულია ინსტიტუციონალური სფეროს მკვეთრი ცვლილებით, რომელშიც ხორციელდება საკრედიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციები.

საბანკო სისტემის განვითარების კანონზომიერების შესწავლამ დაგვანახა ისიც რომ 1992-1995 წლებში საბანკო კრიზისები საქართველოში განპირობებული იყო, როგორც სუბიექტური ისე ობიექტური მიზეზებით, თუმცა აღნიშნულის შესახებ სწორი ინფორმაციის არარსებობამ მეანაბრეებს საშუალება არ მისცა გაეკეთებინათ რაციონალური დასკვნები ამა თუ იმ ბანკის საიმედოობის შესახებ. ამ წლებში დარეგისტრირებულმა 7-მა ბანკმა და 34-მა კომპანიამ ზარალი მიაყენა 62 ათას

მეანაბრეს 31 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. ანაბრებზე შეტანილი მინიმალური თანხა შეადგენდა 4 აშშ დოლარს, მაქსიმალური კი 300 ათას აშშ დოლარს და ამ თანხებზე საპროცენტო განაკვეთი 5-30 % ფარგლებში მერყეობდა. ამ მოვლენების არდაშვებისათვის არავითარ ღონისძიებას არ მიმართა ხელისუფლებამ. პირიქით, ტელევიზია ფართო რეკლამას უკეთებდა ამ დანესებულებებს. შედეგად აღმოჩნდა, რომ მათ ამ საქმიანობის განხორციელებისათვის ლიცენზია არ გააჩნდათ. როცა მოსახლეობა მოტყუებული აღმოჩნდა, სახელმწიფომ მათ დასახმარებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, დაზარალებულ მეანაბრეებს საბჭოების და სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბების უფლება მიეცათ და მათი საქმიანობის რეგულირებისათვის შეიქმნა სს-ების ზედამხედველობის სამსახური. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, დაზარალებულ მეანაბრეთა ბაზაზე შექმნილი ყველა სააქციო საზოგადოება 1 წლის განმავლობაში გათავისუფლდა საგადასახადო ვალდებულებებისგან. ხელისუფლებამ მეანაბრეთა გარკვეული ნაწილის დაკმაყოფილება მოახერხა, თუმცა აღნიშნული ღონისძიებები არასაკმარისი იყო. ამ ყველაფრის მთავარი მიზეზი იყო საბანკო სისტემის რეგულირების ინსტრუმენტების არარსებობა სახელმწიფოს და სუსტი საზედამხედველო პოლიტიკის გატარება სებ-ის მხრიდან. საბანკო დანესებულებების ნახევარზე მეტს არ ჰქონდა შესაბამისი ლიცენზია, რაც ეროვნული ბანკის შეცდომაზე მიუთითებდა. საქართველოს საბანკო სისტემა იმდენად მოუქნელი იყო, რომ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ ქვეყანას მრავალ პრობლემას უქმნიდა. ისაა მთავარი, რომ საბანკო სისტემამ, ჯერ კიდევ ვერ იპოვა იმ პერიოდში თავისი ადგილი ეკონომიკაში და ვერ განსაზღვრა მისი როგორც ეკონომიკური სუბიექტის როლი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბანკო სისტემის სახელმწიფო რეგულირება არის აუცილებელი, რადგან მისი არარსებობა, მიგვიყვანს არამდგრადი საკრედიტო ორგანიზაციების შექმნისაკენ.

ფაქტორი, რომელიც მოსახლეობის მხრიდან ბანკების მიმართ ნდობას ამცირებს, ესაა დაბალი ინფორმირება. უნდა მოხდეს საზოგადოების ფინანსური კულტურის ზრდა, კლიენტებს უნდა ჰქონდეთ საშუალება უკეთ იყვნენ ორიენტირებულნი ბანკების ფინანსურ ანგარიშგებაში და შეადგინონ საკუთარი რეიტინგები კრედიტუნარიანობაში,

თუმცა ბევრისთვის ეს პროცესი ძალიან რთულია. იმისათვის რომ მოხდეს საზოგადოების ინფორმირების ამაღლება, საჭიროა საინფორმაციო ანალიტიკური მომსახურების ბაზრის განვითარება, უპირველესად კი საკრედიტო რეიტინგების განვითარება.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, სუბიექტი, რომელსაც შეუძლია სწრაფად და ეფექტურად უზრუნველყოს მოსახლეობის ნდობა ბანკებისადმი, არის მხოლოდ სახელმწიფო, რომელიც უნდა იყოს დაინტერესებული ეკონომიკის სტაბილიზაციის ამაღლებაში, რესურსების საბანკო ბრუნვაში ჩაბმასა და საბანკო სექტორში კრიზისული მოვლენების აღმოფხვრაში. საბანკო ზედამხედველობის არარსებობა ქვეყნის გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, დიდი ხნის მანძილზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემის მდგომარეობაზე და ამავდროულად ნდობის დაკარგვას იწვევს საბანკო სისტემისადმი. ზემოთხსენებულ მიზეზთა გამო, ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ ქვეყნის საბანკო სისტემის შენაბრების გარკვეულმა ნაწილმა თავიანთი თანხები შეიტანოს იმ ქვეყნების ბანკებში, რომელთაც გააჩნიათ ძლიერი სახელმწიფო საზედამხედველო სისტემა. უცხოურ ბანკებში ანაბრების გახსნა ნაკლებადაა სასურველი. იმ შემთხვევაშიც თუკი საქართველოს საბანკო სისტემაში დამყარდება სტაბილურობა, ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი სამამულო ბანკისათვის დაკარგული იქნება კლიენტების მსხვილ უცხოურ ბანკებში გადასვლის შედეგად. ეს ფაქტი რომ არ დავეუბნათ, ამიტომ მიზანშეწონილია გატარდეს გარკვეული კომპლექსური ღონისძიებები, ვუზრუნველყოთ მოსახლეობის ნდობა სამამულო ბანკებისადმი. აუცილებლად უნდა მოხდეს საბანკო ოპერაციების სამართლებრივი უზრუნველყოფა, რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობით იქნება დადგენილი. ბანკების საქმიანობის ძირითადი პარამეტრების სახელმწიფოებრივი რეგულირება, რომელიც იქნება ადმინისტრაციული სამართლის საგნით განსაზღვრული.

საქართველოს სამოქალაქო სამართლიდან გამომდინარე საბანკო ოპერაციებს მიეკუთვნებიან შემდეგი სახის ვალდებულებები: კრედიტი, საბანკო ანაბარი, თავდებობა და საბანკო გარანტიები.

საბანკო საქმიანობის მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბანკო გარანტიები არის ახალი სამართლებრივი ფენომენი, რომელიც ამერიკის ბაზარზე გამოჩნდა 60-იან წლებში, მაგრამ საერთაშორისო საბანკო ოპერაციებში შესამჩნევი აღვილი დაიკავა 70-იანი წლების დასაწყისში. საბანკო გარანტიები შეიძლება გამოვიყენოთ როგორც წმინდა საფინანსო, ისე არასაფინანსო კონტრაქტების უზრუნველყოფის მიზნით.

საბანკო გარანტიების მიზანია დაიცვას კრედიტორი დანაკარგებისგან და ძირითადი მოვალის გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება. კანადასა და აშშ-ში სადაზღვევო კომპანიები ხშირად ახორციელებენ საგარანტიო მომსახურებას, ისევე როგორც ფასიან ქალაქებთან მომუშავე კომპანიები. ამ ქვეყნებში გარანტიები შეიძლება გასცეს ნებისმიერმა დაწესებულებამ, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა. კრედიტის თვალსაზრისით არასაბანკო და არასადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული გარანტიები ნაკლებად საიმედოა, არა მხოლოდ იმიტომ რომ ამგვარი დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობა შეიძლება არამყარი იყოს, არამედ იმიტომ რომ ეს კომპანიები ფინანსურად და კომერციულად ძირითად მოვალესთან არიან დაკავშირებულნი. ამიტომ, კრედიტორები მოითხოვენ ბანკებისა და სხვა მდგრადი ინსტიტუტების მიერ გაცემულ გარანტიებს. საბანკო გარანტია, ესაა მხარეებს შორის რისკის განაწილება, რომელიც უმეტესად დამოკიდებულია გარანტიის გადახდის ტიპის შერჩევასა და პირობებზე. საბანკო გარანტიების ძირითადი ფუნქციაა ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებების უსაფრთხოება. ეს მიზანი მიიღწევა კრედიტორისათვის ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობისას ფინანსური კომპენსაციის უზრუნველყოფით და ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის კომპენსირების შემთხვევაში.<sup>12 13 14</sup>

ჩემი აზრით, საბანკო რეგულირების და ზედამხედველობის სრულყოფილმა სისტემამ, უნდა გადანყვიტოს ის ამოცანები, რომლებსაც არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნები. ამრიგად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბანკების

ზედამხედველობის რეგულირების სრულყოფის პროცესში ახალი ტიპის ფინანსური ანგარიშგებების დანერგვას, რომლებიც ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობასთან ერთად გაითვალისწინებენ რისკის მენეჯმენტისა და ბანკის კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებას.

<sup>12</sup> ხათუნა ბარბაქაძე - საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში თავი II

<sup>13</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. გამომც. „სამართალი“, თბილისი. 2000, გვ. 264-289

<sup>14</sup> საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ბრძანება №8, 2008 წლის 26 სექტემბერი.

## **§2.1 ციფრული ტექნოლოგიების როლი საბანკო სექტორის განვითარებაში**

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება მსოფლიოში XX - XXI საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო. ახალი ტექნოლოგიები გავლენას ახდენს ფინანსურ აქტივობასა და ფულის მართვის არხებზე. მომხმარებლებს უკვე აღარ აკმაყოფილებთ ტრადიციული არხებით - ფილიალით ან სატელეფონო ცენტრით სარგებლობა. შესაბამისად, ვითარდება ისეთი არხები, როგორიცაა ინტერნეტ და მობილ ბანკი, ვებ-გვერდები, ჩატი და სხვ. თუკი აღრე საფინანსო სექტორის ძირითად მოთამაშეებს ბანკები წარმოადგენდნენ, დღეს Fintech კომპანიები დიდ კონკურენციას უწევენ მათ. იმისათვის რომ კომპანიებმა ბაზარზე ადგილი შეინარჩუნონ და დაიმკვიდრონ, აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და ინოვაციური

გადაწყვეტილებების მიღება. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში ინოვაციურობა ნებისმიერი კომპანიისათვის განვითარებისა და წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. დღესდღეისობით ბიზნესი და ტექნოლოგიური ინოვაციები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ამდენად, ბიზნესის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის საჭიროება სწრაფად იზრდება. ციფრული ტექნოლოგიები გულისხმობს ფინანსური მომსახურების სფეროში ტექნოლოგიებისა და ბიზნეს მოდელების გამოყენებას. დღეს კომპანიები, რომლებიც უახლეს ტექნოლოგიებს იყენებენ, მომხმარებლებს უფრო ეფექტურ ფინანსურ სერვისებს სთავაზობენ. თანამედროვე მსოფლიო მასშტაბით ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელმაც მთლიანად შეცვალა ფულის მართვის საშუალებები. ინოვაციური ფინანსური ონლაინ პლატფორმები მომხმარებლებს საშუალებას აძლევენ მოახდინონ საკრედიტო რესურსებზე წვდომა საბრუნავი საშუალებების შესავსებად, აწარმოონ გადარიცხვები და სხვა ფინანსური მომსახურება. ციფრული ტექნოლოგიები არის ტექნოლოგიური ინოვაცია და ხასიათდება სისწრაფით, სიმარტივით, მოქნილობით და კომფორტულობით, რაც გავლენას ახდენს ფინანსური სერვისის ზრდა-განვითარებაზე. მისი მეშვეობით ოფისიდან გაუსვლელად შესაძლებელია ფინანსურ რესურსებზე წვდომა და მათი მართვა. სწრაფი სესხის პროდუქტი სწორედ Fintech კომპანიებმა დაწერეს საქართველოში. კლიენტებს აღარ უნევთ თანხის მისაღებად ფილიალში მისვლა, დოკუმენტების შეგროვება და ლოდინი კომპანიაში. პროდუქტის საშუალებით გამარტივდა თანხის მიღება. მომხმარებელი სარგებლობს სწრაფი და კომფორტული მომსახურებით. სწრაფი სესხების სერვისი სწრაფად გახდა პოპულარული, ვინაიდან ის ზოგავს კლიენტის დროს, მოთხოვნილი თანხა კი ოპერატიულად ირიცხება ანგარიშზე. დღეისთვის უკვე შესაძლებელია აღნიშნული სერვისით სარგებლობა ბანკებშიც. საქართველოს მოსახლეობა ტექნოლოგიურ სიახლეებს მარტივად ითვისებს. ახლახანს, Mastercard - მა მოსახლეობაში ჩაატარა გამოკითხვა. აღმოჩნდა რომ უმრავლესობა ემხრობა საბანკო სერვისების გაციფრულებას და უპირატესობას ანიჭებს უკონტაქტო ბარათის გამოყენებას. ასევე გამოკითხულთა უმრავლესობა

ანგარიშსწორებისათვის სასურველ მონყობილობად სმარტფონს ასახელებს, ზოგისთვის კი უპირატესია ანგარიშსწორების დადასტურება თითის ანაბეჭდის მეშვეობით.

აღსანიშნავია რომ ციფრული ტექნოლოგიების ძირითადი ბენეფიციარები მცირე და საშუალო ბიზნესია. მისი ბაზარი მოიცავს დაკრედიტებას, ვაჭრობას, საფინანსო სფეროს ელექტრონულ კომერციას, ონლაინ ვაჭრობას, ონლაინ მინოდების ქსელის მართვას. როგორც ცნობილია, ბანკები და ფინანსური ორგანიზაციები დიდი ხნის მანძილზე გამოირჩეოდნენ თავიანთი კონსერვატიული მიდგომებით. შედეგად ბევრი მათგანი კარგავდა კონკურენტუნარიანობას ბაზარზე ახალი მოთამაშეების გამოჩენისას, რომლებიც იყენებდნენ თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს. სპეციალისტების აზრით, უახლოეს 10 წლის მანძილზე ფინანსური მომსახურების სფეროში დასაქმებული დაახლოებით 800 ათასი ადამიანი დაკარგავს სამსახურს ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად. თუმცა, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი შეუქცევადი და აუცილებელია.

თანამედროვე ბანკები შესამჩნევად განსხვავდებიან წინამორბედი ბანკებისგან. დღეს ბანკები იმყოფებიან ციფრული ინოვაციების ცენტრში. ისინი განიხილავენ ელექტრონული კომერციის ბიზნეს-მოდელებს, მომხმარებელს სთავაზობენ ინოვაციურ პროდუქტებსა და მომსახურებას, მონაწილეობენ ციფრული ტექნოლოგიის პარტნიორულ ურთიერთობებსა და ინოვაციური სტარტაპების დაფინანსებაში, ხელს უწყობენ ციფრული ბაზრის განვითარებას, სამართლიანი კონკურენტუნარიანი სივრცის ფორმირებას, ინტერნეტმომხმარებლების უფლებების დაცვას, ნდობისა და კიბერუსაფრთხოების ზრდას. მეტი ინოვაცია საბოლოოდ ნიშნავს მეტ ეფექტურ, ახალ პროდუქტს და სერვისს, რომელიც უკეთესად უპასუხებს მომხმარებელთა მოთხოვნებს, გაამარტივებს და უფრო კომფორტულს გახდის ადამიანების ურთიერთობას ბანკთან.

საქართველოში მოღვაწე კომპანიები და სახელმწიფო სტრუქტურები განვითარების იმ ეტაპზე იმყოფებიან, როდესაც აუცილებელი ხდება უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა და არსებულის გაფართოება. ამ პროცესში მენეჯმენტი მრავალი რთული

ამოცანის წინაშე დგას: საჭიროა სწორი სტრატეგიის დასახვა, სწორი სისტემების შერჩევა, ინვესტიციების მოზიდვა, მათი ეფექტიანი დაბანდება, ახალი სისტემების დანერგვის პროექტების მართვა და ა.შ. ქუიქ ქეში (QuickCash) არის პირველი ქართული ინოვაციური მაღალტექნოლოგიური პლატფორმა, რომელიც 5 წუთში ონლაინ აფასებს მცირე და საშუალო ბიზნესის კრედიტუნარიანობას. QuickCash სთავაზობს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს, ონლაინ პლატფორმის საშუალებით ფინანსური და რისკიანობის შეფასების გავლის შემდეგ, ბიზნეს საკრედიტო ხაზს.

აღსანიშნავია რომ ქართული საბანკო სექტორი ერთ-ერთი მოწინავე სექტორია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ათვისების პროცესში, რაც გამოიხატება დისტანციური საბანკო მომსახურების არხების განვითარებით, თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიებში ინვესტირებით, მრავალფეროვანი საბანკო პროდუქტების და მომსახურების წარდგენით, უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამომხმარებლო სერვისებით, სისტემებითა და პროცესებით, უსაფრთხოებითა და მოქნილობით. ისინი მუდმივად ეძებენ ახალ პარტნიორებსა და კომპანიებს სტრატეგიული თანამშრომლობისთვის, რაც დადებით ეფექტს მოახდენს ბანკსა და მის კლიენტებზე. ცნობილია რომ მსოფლიოში არსებობს უამრავი ბანკი, რომელიც მთლიანად ონლაინ რეჟიმში მუშაობს. იმისათვის, რომ შევძლოთ მათთან თანამშრომლობა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, საჭიროა ფეხი ავუწყოთ ამ მიმართულებით მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებს.<sup>15</sup>

ტერმინი „ელექტრონული ხელმოწერა“ საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ახალი არ არის. ჯერ კიდევ 2008 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ.“ დღეისთვის არსებობს ტერმინი „ელექტრონული ხელმოწერის“ რამდენიმე განმარტება. მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს გამოყენების სხვადასხვა არეალში. საერთაშორისოდ აღიარებულია განმარტება, სადაც ელექტრონული ხელმოწერა ნიშნავს მონაცემთა გზავნილში არსებულ ელექტრონულ მონაცემებს, რომლებიც მიბმულია ან ლოგიკურად დაკავშირებულია მასთან (გზავნილთან) და რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას ხელმოწერის მონაცემთა გზავნილთან კავშირის

მიზნით, ხელმომწერის იდენტიფიცირებისთვის და მიუთითებს ხელმომწერის თანხმობას იმ ინფორმაციაზე, რაც განთავსებულია მონაცემთა გზავნილში. ელექტრონული ხელმოწერა ასევე განმარტებულია, როგორც ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემები, რომელიც მიბმულია ან ლოგიკურად დაკავშირებულია სხვა ელექტრონულ მონაცემებთან და გამოიყენება როგორც აუთენტიფიკაციის საშუალება. საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში მოქმედი განმარტება მიუთითებს, რომ „ელექტრონული ხელმოწერა“ არის ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილი მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც ხელმომწერი იყენებს დოკუმენტთან მისი კავშირის აღსანიშნავად.

ელექტრონული ხელმოწერა არის ხელმომწერის კავშირის დადასტურება კონკრეტულ ელექტრონულ ინფორმაციასთან, ხოლო ეს კავშირი გაგებული უნდა იქნას, როგორც „თანხმობა“ ან/და „ნების გამოხატვა“. იმისათვის, რომ აღნიშნული „თანხმობა“/„ნების გამოხატვა“ კონკრეტულ ინფორმაციაზე წარმოადგენდეს სამართლებრივ დადასტურებას, გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერა უნდა ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონედ. სწორედ ელექტრონული ხელმოწერის იურიდიული აღიარება მიიჩნევა ელექტრონული კომერციის განვითარების ერთ-ერთ საბაზისო ფაქტორად. ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივი აღიარება გულისხმობს მისი ქალაქდღე ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ხელმოწერად მიჩნევას.

საბანკო სექტორში გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ციფრული ხელმოწერა. „ციფრული ხელმოწერის“ განმარტება, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულია, მოცემულია ISO 74982 სტანდარტში, როგორც უსაფრთხოების მექანიზმი, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას უსაფრთხოების ისეთი სერვისების მიწოდებისთვის, როგორიცაა აუთენტიფიკაცია, მონაცემთა წარმომავლობის აუთენტიფიკაცია, მონაცემთა ერთიანობა (დაურღვევლობა) და უარყოფის შეუძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკაში დანერგვა უკავშირდება სერთიფიკატის გამოყენებას. ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემები,

რომელიც საბანკო სექტორში გამოყენებულ განვითარებულ ელექტრონულ ხელმონერაში მონაწილეობს, როგორც ხელმომწერის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, შემდეგი სახით განიმარტება: „ელექტრონული ხელმონერის შექმნის მონაცემების შემადგენელი ნაწილი, კერძოდ სტატიკური და დინამიური მონაცემების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონულ ხელმონერასთან, უნიკალურია თითოეული ხელმომწერი პირისთვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება და შესაძლოა შეიცავდეს ელექტრონული ხელმონერის შექმნის მონაცემების მიერ განსაზღვრულ სხვა, დამატებით მონაცემებს. ხელმონერის შესრულების დროს, აღნიშნული მონაცემების აღება ხდება ხელმონერის დაფის მეშვეობით, რომლებიც შესაბამისი შიფრაციის შემდეგ „ხელმონერის შექმნის გარემოს“ მეშვეობით უკავშირდება ხელმოსანერ ელექტრონულ დოკუმენტს და დასტურდება ციფრული სერთიფიკატით. ხელმონერის დაფის მიერ მიღებული ბიომეტრიული მონაცემები სავალდებულოა აკმაყოფილებდეს შესაბამისი ISO სტანდარტით განსაზღვრულ მინიმალურ ხარისხს, რომ ვარგისი იყოს ხელმონერის ექსპერტიზისთვის, ხოლო ზემოთხსენებული შიფრაცია, სხვა დანარჩენი ტექნიკური კომპონენტები შესრულებული უნდა იქნას „ელექტრონული ხელმონერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს“ მიერ განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნების დაცვით. ელექტრონული დოკუმენტის დედანი, რომელიც შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, სავალდებულოა კომერციული ბანკის მიერ შენახული იქნას დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლის მომენტიდან 15 წლის განმავლობაში. შესაბამისად, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც ხელმონერილია ბიომეტრიულ მონაცემებზე დაყრდნობილი ელექტრონული ხელმონერით, სავალდებულოა ინარჩუნებდეს ორ ფუნქციას, პირველი, დროის ნებისმიერი მომენტისთვის შესაძლებელი იყოს დადასტურება იმისა, რომ ხელმონერის მომენტში გამოყენებული ციფრული სერთიფიკატი წარმოადგენდეს ქმედით სერთიფიკატს და მეორე, შესაძლებელი იყოს დოკუმენტიდან დაშიფრული ბიომეტრიული მონაცემების ამოღება და ეს ბიომეტრიული მონაცემები ვარგისი იყოს ექსპერტიზისთვის.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად სავალდებულოა ხელმონერა შესრულდეს „გრძელ-ვადიანი ვალიდაციის“ პირობების გათვალისწინებით, რაც სავალდებულოა ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტის „გრძელვადიანი ვალიდაციის“ უზრუნველყოფა ძირითადად შესაძლებელია ორი ფაქტორის გათვალისწინებით: ხელმონერა შესრულებული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ pdf ფორმატის შესაბამისი ვერსიის ელექტრონულ დოკუმენტზე და გამოყენებულ ციფრულ ხელმონერაზე დატანილი უნდა იყოს ისეთი ატრიბუტი, როგორიცაა „დროის აღნიშვნა“. ეროვნული ბანკი განიხილავს და ამტკიცებს კომერციული ბანკის მხოლოდ იმ უსაფრთხოების პოლიტიკას, რომელიც იძლევა ხელმონერის ერთპიროვნული კონტროლის შესაძლებლობას ხელმონერის შესრულების პროცესში.<sup>16</sup>

<sup>15</sup> [www.credy.ge](http://www.credy.ge) ციფრული ტექნოლოგიები საფინანსო სექტორში 15 მარტი, 2018 წელი

<sup>16</sup> ჭელიძე მ, თოფჩიშვილი მ - ციფრული ტექნოლოგიების როლი საბანკო სექტორის განვითარებაში - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“ N5/2018

### თავი III. საქართველოს საბანკო სისტემის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი პირობები

#### ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

სტაბილური გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელი პირობაა დაბალი და პროგნოზირებადი ინფლაცია. ამიტომ საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითად ფუნქციას, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების აბსოლუტური უმრავლესობის მსგავსად, ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. სწორედ სტაბილური ფასების პირობებში ხდება რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად განაწილება, რაც საბანკო სისტემაში არსებული ფულადი სახსრების ოპტიმალურად გამოყენების საშუალებას იძლევა, ხოლო ეკონომიკურ აგენტებს თავიანთი დანაზოგების სწორად განთავსების ან საკრედიტო რესურსების მოზიდვის პირობებს უქმნის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყანაში გაცვლითი კურსის მოკლევადიანი რყევების შემცირება სავალუტო ბაზარზე, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, როდესაც მოსახლეობისათვის ე.ი. „ნომინალური ლუბა“ სწორედ ლარის გაცვლითი კურსია და მოკლევადიანი გადაწყვეტილებების მიღებაც მისი დინამიკიდან გამომდინარე ხდება. საქართველოს ეროვნული ბანკის ამოცანაა საბანკო სექტორის განვითარების სტიმულირება უპირატესად ეკონომიკური მეთოდებით. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ საბანკო მომსახურების მასშტაბების ზრდა არ უნდა იქნეს მიღწეული საბანკო სექტორის მდგრადობის საზიანოდ.

### §3.1 საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის განმტკიცების აუცილებლობა

კომერციული ბანკის საიმედოობისა და მდგრადობის ეკონომიკურ შინაარსში უნდა იგულისხმებოდეს კონკურენციის პირობებში არასასურველი საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ბანკის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა. სწორედ აღნიშნული განაპირობებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამ პრობლემის სირთულესა და აქტუალობას.

როგორც ცნობილია, 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა არამდგრადი კომერციული ბანკები, რომელთა საქმიანობის გამო მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად დაზარალდა მრავალი კრედიტორი. ეს მდგომარეობა უმეტესწილად განპირობებული იყო კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის სისტემის არარსებობით. მართალია, ბოლო დროს არასაიმედო აქტივების მქონე ბანკების სტრუქტურის რეორგანიზაციამ, აგრეთვე, იმ ბანკების დახურვამ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დადგენილი მინიმალური საწესდებო კაპიტალის ეკონომიკური ნორმატივების შესრულება, ხელი შეუწყო და დადებითი გავლენა იქონია საბანკო სისტემის საიმედოობასა და მდგრადობის განმტკიცებაზე, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ თანამედროვე პირობებში ბანკების მიმართ, როგორც მენარმე სუბიექტების, ასევე მოსახლეობის მხრიდან ნდობის აღდგენა სათანადო დონემდე არ მომხდარა.

მოსახლეობის ბანკების მიმართ ნდობისა და პასუხისმგებლობის მექანიზმის ასამაღლებლად, საბანკო საქმიანობაში რისკის ფაქტორისა და კორუფციის შესაძლებლობის მინიმუმამდე დასაყვანად, მიზანშეწონილად მიმაჩნია საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორების და პირობების გამოკვლევა, მათი განხილვა საბანკო საქმიანობის სტრატეგიის და ტაქტიკის გამომუშავების საფუძველზე, რაც საშუალებას მოგვცემს რომ განვსაზღვროთ სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის მიზემ-შედევობრივი კავშირის ურთიერთქმედების ზეგავლენა მთელი საბანკო სისტემის მდგრადობაზე.

კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის ფაქტორების ანალიზის კომპლექსური მიდგომიდან გამომდინარე, აუცილებელია გამოვყოთ შემდეგნაირი მეთოდოლოგიური დაჯგუფება:

- ✓ საერთო ეკონომიკური ფაქტორები;
- ✓ სახელმწიფო და სამართლებრივი ფაქტორები;
- ✓ საბანკო რესურსების განვითარების მიხედვით ფაქტორები;
- ✓ შიდა საბანკო საქმიანობის ფაქტორები.

თითოეული ზემოთაღნიშნული ფაქტორის განხილვა საშუალებას მოგვცემს დავახასიათოთ ჩვენი მეთოდოლოგიური მიდგომის სისწორე ამ პრობლემებისადმი. კომერციული ბანკების ეფექტური საქმიანობის განმსაზღვრელ და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სტაბილური ეკონომიკური გარემო, რადგანაც იგი ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკური სისტემის დინამიურ წონასწორობაზე.

კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ზედამხედველობის ასამაღლებლად, აუცილებელია განხორციელდეს ნორმატიული ბაზის შემდგომი განმტკიცება, რომელიც მიმართული იქნება კომერციული ბანკების რეგულირების წესის და ზედამხედველობის სრულყოფისაკენ. ასევე სრულყოფას მოითხოვს „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები“, რაც მოგვცემს შესაძლებლობას ზუსტად დადგინდეს კომერციული ბანკების აქტივების მგრძობელობა საკრედიტო რისკის მიმართ და უფრო სრულყოფილად განისაზღვროს კომერციული ბანკებისათვის მთავარი მაჩვენებელი - კაპიტალის საკმარისობა.<sup>17</sup>

### **§3.2 საბანკო სისტემისა და ბაზრის ინსტიტუციური განვითარების აუცილებლობა და პერსპექტივები**

საბანკო სექტორის სტრუქტურის სრულყოფა ხელს უწყობს მისი ეკონომიკური როლის ამაღლებას, საბანკო მომსახურების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, საშუაშაველო ფუნქციების ხარისხიანად შესრულებას და ბიზნესის ამ სფეროში კონკურენციის უნივერსალურ დონეზე განვითარებას.

საკრედიტო ორგანიზაციების სპეციალიზება ცალკეული საბანკო პროდუქტების, ოპერაციების თუ საქმიანობის სახეობების მიხედვით უნდა ეფუძნებოდეს ნებაყოფლობით პრინციპს, რომელიც გამორიცხავს ადმინისტრაციული მეთოდების თავსმოხვევას სპეციალიზების კონკრეტული ფორმების ბანკებისათვის. ამავე დროს, აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ საქმიანი აქტივობის სფეროების შერჩევასა და განწყვეტილების მიღების მთელი პასუხისმგებლობა თვით კომერციულ ბანკებს ეკისრებათ. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი არ გამორიცხავს საბანკო საქმიანობის ცალკეულ სახეობებსა ან საბანკო პროდუქტებზე სპეციალიზებული ბანკების მიმართ რეგულირებისა და ზედამხედველობის განსხვავებული მიდგომების გამოყენებას.<sup>18</sup>

### **§3.3 საბანკო სისტემის კონსოლიდაცია და კონკურენციის ხელშეწყობა**

ქვეყანაში საბანკო სისტემის შემდგომი განვითარებისა და თითოეული კომერციული ბანკის სტაბილურობისათვის აუცილებელია მხოლოდ კარგად კაპიტალიზებული, გამჭვირვალე და ფინანსურად ჯანსაღი საბანკო ინსტიტუტების არსებობა. ბანკების კაპიტალიზაციის დონის ამაღლების უმთავრესი მექანიზმია კაპიტალის მიმართ მინიმალური მოთხოვნების დაწესება.

დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 50 მლნ ლარის ოდენობით. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული სუბიექტებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის - 50 მლნ ლარის ქონა სავალდებულოა საბანკო ლიცენზიის აღებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომხრე იქნება, თუ ბანკებისათვის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მიმართ დაწესებული მოთხოვნები საბანკო სექტორში კონსოლიდაციის პროცესს განაპირობებს - მცირე ბანკების შერწყმას ან/და მათ მიერთებას საშუალო ან დიდ ბანკებთან. ბანკების შერწყმა-გაერთიანების პროცესი უნდა წარიმართოს ნებაყოფლობითი პრინციპით. კომერციული ბანკების

რეორგანიზებისას, საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც საბანკო საქმიანობაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს, ჩარევა მოხდება საბანკო სისტემაში ჯანსაღი კონკურენციის შენარჩუნების მიზნით.

რეორგანიზების ყველა პროცედურა მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ ნორმებს. პროცესი უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ რეორგანიზების შედეგად შექმნილი ბანკი სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს.

საბანკო სექტორის სტრუქტურის პარამეტრების შეცვლა უნდა ხდებოდეს საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით. სახელმწიფოს როლი შემოიფარგლება საკანონმდებლო ფუნქციით და კაპიტალის კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის პროცესების რეგულირების მეშვეობით ისეთი პირობების შექმნით, რომლებიც ხელს შეუწყობს საბანკო სექტორის განვითარების მიზნების ოპტიმალურ რეალიზებას, კერძოდ, ესენია:

- საკრედიტო ორგანიზაციების კრედიტორების, მენაბრეების, კლიენტებისა და მესაკუთრეების ინტერესების დაცვა;
- საბანკო მომსახურების ბაზრის განვითარება;
- საბაზრო დისციპლინის განმტკიცება და საბანკო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის განვითარება;
- საკრედიტო კულტურის და დისციპლინის ამაღლება.

ანტიმონოპოლიური რეგულირების ორგანოების მუდმივი ყურადღების ობიექტი უნდა გახდეს ყველა დონის სახელისუფლებო ორგანოს გადაწყვეტილებები და ქმედებები, თუ ისინი დაბრკოლებებს შეუქმნიან საბანკო სექტორის განვითარებას ან საბანკო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის ამაღლებას.

საბანკო მომსახურების ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის განვითარების სამართლებრივი ბაზის განმტკიცების მიზნით, ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაში ცვლილებების მომზადებისას საქართველოს ეროვნული ბანკი იხელმძღვანელებს საბანკო სფეროში ანტიმონოპოლიური რეგულირების საერთაშორისო გამოცდილებით, რომელიც, პირველ რიგში, უკავშირდება მომხმარებლის

ინტერესების დაცვასა და მომსახურების კონცენტრაციის საკითხების განხილვას, მაგალითად, საკრედიტო ორგანიზაციების შერწყმის, გაერთიანების და გარდაქმნის შემთხვევაში.<sup>19</sup>

### §3.4 უცხოური კაპიტალის მონაწილეობა და მისი როლი

ქვეყნის საბანკო მომსახურების ბაზარზე უცხოური კაპიტალის შემოდინება განიხილება როგორც საბანკო სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი. უცხოური კაპიტალის შემოსვლას თან ახლავს საბანკო მომსახურების ბაზარზე თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი ფინანსური პროდუქტების დანერგვა, საკრედიტო ორგანიზაციებში კორპორაციული მართვის კულტურის ამაღლება, საბანკო დაწესებულებებს შორის კონკურენციის განვითარება და საბანკო საქმის სრულყოფა.

თავის მხრივ, საქართველოს საბანკო სექტორში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია კორპორაციული მართვის ხარისხის ამაღლება, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პრინციპების სრულყოფილად და ეფექტიანად რეალიზების უზრუნველყოფა.

საბანკო სექტორის მიმართ უცხოელი ინვესტორების დაინტერესების ზრდას და ნდობის ამაღლებას ხელს შეუწყობს საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი სარეიტინგო კომპანიების მიერ საქართველოს კომერციული ბანკების შეფასება და მათთვის რეიტინგის მინიჭება. ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ თავად ქვეყნის რეიტინგის განსაზღვრა. ქვეყნისათვის საკრედიტო რეიტინგის მინიჭება გაზრდის ინვესტორების ნდობას, რაც საქართველოს საბანკო სექტორს საკრედიტო რესურსების იათვად მოზიდვის საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგის არსებობა საქართველოს კომერციულ ბანკებს მაღალი საკრედიტო რეიტინგის მიღებაში შეუწყობს ხელს.

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის შემდგომი ზრდა შესაძლებელია წარმატებული პრივატიზების პროცესის გაგრძელების, ენერჯეტიკის სექტორის ეფექტიანი რესტრუქტურირებისა და მთავრობის ფინანსური მაჩვენებლების გამჭვირვალობის ზრდის შემთხვევაში.<sup>20</sup>

### **§3.5 საკრედიტო და სადეპოზიტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა**

ბანკების საკრედიტო საქმიანობის განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეკონომიკის არასაფინანსო სექტორზე, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში სტრუქტურული გარდაქმნების ტემპებსა და სპეფიციკაზე, კრედიტორთა უფლებების დაცვის ხარისხზე, აგრეთვე ეკონომიკის რეალურ სექტორში მოქმედი ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობასა და საკუთრების სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი აუცილებლობად მიიჩნევს საწარმოთა აღრიცხვისა და ანგარიშგების შემდგომ სრულყოფას, მათ შორის, ბანკებისა და მათი შვილეული ორგანიზაციების კონსოლიდირებული ანგარიშგების შედგენისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, რაც ბანკების მხრიდან მსესხებლების საქმიანობისა და მათი ფინანსური მდგომარეობის უფრო ხარისხიანი და ოპერატიული მონიტორინგის პირობას ქმნის.<sup>21</sup>

### **§3.6 საგადამხდელო სისტემები**

საქართველოს ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებისა და სტაბილურობის განმტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავს საქართველოს საგადამხდელო სისტემების მოდერნიზებასა და უნაღლო ანგარიშსწორების ფორმების შემდგომ სრულყოფა-

გათართობას. ამ მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს საქმიანობას.

მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, უნაღლო ანგარიშსწორების გრძელვადიანი განვითარებისა და საზოგადოების ფართო ფენების ფულადი სახსრების საბანკო სფეროში მოზიდვის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება საბანკო პლასტიკური ბარათებით ოპერაციების შემდგომი გაფართოებაა. ქვეყანაში პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების ფორმის ფართო მასშტაბით დამკვიდრება მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პოზიტიურ ცვლილებებს განაპირობებს.<sup>22</sup>

<sup>17</sup> ხათუნა ბარბაქაძე - კომერციული ბანკების რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში თავი VIII

<sup>18, 19 20 21 22</sup> საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგია - საქართველოს ეროვნული ბანკი

## **თავი IV. საბანკო სისტემის ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებანი საქართველოში**


საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკების და ეროვნული ბანკის ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა განისაზღვრება საბანკო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებით, მოიცავს განსაკუთრებულ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა სასესხო კაპიტალის მოძრაობისას კრედიტორსა და მსესხებელს შორის და ამის შედეგად თვით ბანკებს შორის. ამასთან ფულად-საკრედიტო რეგულირების ობიექტია მიმოქცევაში არსებული ფულადი მასა და სასესხო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთი. ეროვნული ბანკი ამ პარამეტრებზე ზემოქმედებისათვის იყენებს ისეთ ბერკეტებს, როგორცაა ღია ბაზარზე ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები, რეფინანსირების განაკვეთები, სავალდებულო ნორმათა რეგულირება და ა.შ.

საქართველოს საბანკო სისტემაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონის საფუძველზე, ეროვნული ბანკი განისაზღვრება, როგორც ქვეყნის მთავარი ბანკი და ბოლო ინსტანციის კრედიტორი. შესაძლებელია საბანკო საქმიანობის რეგულირების შემდეგი ფორმულის გამოყენება რწმუნებული უწყებების მიერ გარკვეული დებულებების, ბრძანებების და ა.შ.

გარდამავალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ცენტრალური ბანკის ზემოქმედება კომერციული ბანკების საქმიანობაზე უნდა განხორციელდეს შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით, რომლებიც აგრეთვე წარმოადგენენ საბანკო სისტემაში ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებებს:

- საერთო საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო პირობების შექმნით, რომელიც საშუალებას მისცემს კომერციულ ბანკებს მოახდინონ მათი ეკონომიკური ინტერესების რეალიზება;
- ფულად-საკრედიტო რეგულირების ღონისძიებების განხორციელებით, რომლებიც ზემოქმედებას მოახდენს კომერციული ბანკების რესურსების ოდენობის შეცვლით, მიმოქცევაში ფულადი მასის მოცულობასა და სტრუქტურაზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას ეკონომიკის დასაკრედიტებლად;
- ბანკების ბალანსის ლიკვიდობის უზრუნველყოფის მიზნით ეკონომიკური ნორმატივების დადგენით და მათზე ზედამხედველობის გაძლიერების საფუძველზე.

ცენტრალური ბანკის ზემოქმედება კომერციული ბანკების საქმიანობაზე შესაძლოა განხორციელდეს როგორც ეკონომიკური (ირიბი), ასევე ეკონომიკურ-ადმინისტრაციული (პირდაპირი) მეთოდებით, რასაც ნათლად მოწმობს ცენტრალური ბანკის კომერციულ ბანკებზე ზემოქმედების გამომხატველი ქვემოთ მოყვანილი სქემა.



წყარო: [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

როგორც სქემიდან ჩანს, ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისათვის საბანკო საქმიანობის რეგულირების პირდაპირი და ირიბი მეთოდების გარდა გამოყოფენ აგრეთვე საერთო და სელექციურ მეთოდებს. საერთო მეთოდები, რომელთაც მიეკუთვნება: სააღრიცხვო (დისკონტური) პოლიტიკა, ოპერაციები ღია ბაზარზე, ბანკის სავალდებულო რეზერვების ნორმების დადგენა, უფრო ხშირად გამოიყენება საზღვარგარეთის საბანკო პრაქტიკაში. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია მოკლედ განვიხილო საერთო მეთოდების ზემოთ მოყვანილი სახეები. სააღრიცხვო (დისკონტური) პოლიტიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კომერციული ბანკების რეფინანსირების პირობების შეცვლის მეთოდი გავლენას ახდენს ფულისა და კაპიტალის ბაზრებზე არსებულ მდგომარეობაზე. რაც შეეხება ოპერაციებს ღია ბაზარზე, ისინი ყველაზე მოქნილი ინსტრუმენტებია ფულის მიმოქცევისა და კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირებისათვის. ცენტრალური ბანკი ღია ბაზარზე ოპერაციების მეშვეობით ზეგავლენას ახდენს თავისუფალი რესურსების მოცულობაზე, რომელიც კომერციულ ბანკებს გააჩნიათ,

რაც სტიმულს აძლევს ეკონომიკაში საკრედიტო დაბანდების გაფართოებას ან შემცირებას, ეს კი ერთდროულად გავლენას ახდენს ბანკის ლიკვიდობაზეც. სავალდებულო რეზერვების ნორმების დადგენა, განაპირობებს, ერთი მხრივ, კომერციული ბანკების ლიკვიდობის საკმარისობის უზრუნველყოფას და მეორე მხრივ, შემდგომში მათ ფულად-საკრედიტო რეგულირების ერთ-ერთ არაპირდაპირ ინსტრუმენტად გადაქცევას. რაც შეეხება მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს, ისინი ბანკის მოზიდულ სახსრებთან თანაფარდობით განისაზღვრება და ეროვნულ ბანკში სავალდებულო შენახვას ექვემდებარება.

ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებზე ზემოქმედების სელექციური მეთოდების გამოყენებას ახორციელებს იმ შემთხვევაში, როცა ეცემა წარმოების მოცულობა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ინფლაციური პროცესების დაძლევის უზრუნველსაყოფად, ინვესტიციებისა და სანარმოების ზრდის სტიმულირებისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მსოფლიო ბაზარზე, მეტად მნიშვნელოვნად მიმაჩნია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა ქვეყანაში არსებული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე.<sup>23</sup>

#### **§4.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნები ქვეყნებში არსებული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე**

ინსტრუმენტები	საოპერაციო	შუალედური	საბოლოო მიზნები
1. ბანკების რეფინანსირება 2. სავალდებულო რეზერვების ნორმა 3. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ღია ბაზარი	1. მთავრობის დაკრედიტება 2. კომერციული ბანკების დაკრედიტება 3. ბანკთაშორისი ბაზრის განაკვეთები	1. M2 2. კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთი	1. ინფლაციის ტემპი 2. ვალუტის კურსი 3. მშპ 4. ინვესტიციები 5. დასაქმება

წყარო: <http://www.nplg.gov.ge>

ზემოთ წარმოდგენილ სქემაზე გამოსახულია კლასიკური სქემა, ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გეგმები, რომლებიც კლასიფიცირებულია განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ცენტრალური ბანკის ეკონომიკის რეგულირების ზემოქმედების ხარისხის გაზრდისათვის. ცენტრალური ბანკის მიერ შუალედური მიზნების მისაღწევად ფულადი აგრეგატი M2 და საპროცენტო განაკვეთის დონე კომერციულ ბანკებში ურთიერთშეთანხმებულად გამოიყენება. ასეთი მიდგომის მიზანია - წარმოების მოცულობის ზრდა, ფასების სტაბილიზაციის მიღწევა და მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობის გაუმჯობესება.

ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში წამყვანი ადგილი უკავია კომერციული ბანკების რეფინანსირებას, რომელიც გულისხმობს კომერციული ბანკების დაკრედიტებას, ასევე თამასუქების აღრიცხვას და განაღდებას. კომერციული ბანკების რეფინანსირების ინსტრუმენტების სახით გამოდის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირებისა და სააღრიცხვო (სადისკონტო) განაკვეთი, ხოლო მოცემული ცვლადების სიდიდის ორიენტირად გამოიყენება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების განმსაზღვრელი მაჩვენებლები.

ცენტრალური ბანკები კომერციული ბანკების რეფინანსირებას იმ შემთხვევაში ახორციელებენ, როდესაც კომერციულ ბანკებს ლიკვიდობაში დროებითი პრობლემები ექმნებათ და ცენტრალურ ბანკს დაკრედიტების თაობაზე მიმართავენ თხოვნით ან, თუ აღნიშნული ფინანსური სიძნელეები საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ცენტრალური ბანკის რეფინანსირება 3 ძირითადი ამოცანის გადანყვეტას უნდა ემსახურებოდეს:

- აღკვეთოს საბანკო კრიზისების გავრცელება ან შეზღუდოს საბანკო სისტემებზე მათი ზემოქმედების სფერო;
- ხელი შეუწყოს ცენტრალური ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას;
- უზრუნველყოს სხვადასხვა სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირება.

განსაკუთრებით ყურადღების გამახვილება არის საჭირო იმ გარემოებაზე, რომ ფულად-საკრედიტო რეგულირების სისტემაში რეფინანსირების მექანიზმი უნდა განვიხილოთ, როგორც ორმაგი ეფექტის მომცემი პოლიტიკა, მხედველობაში მაქვს მისი რაოდენობრივი და ღირებულებითი ეფექტი. რეფინანსირების ღირებულების ამაღლება ამცირებს მის მოცულობას და პირიქით. ეს დამოკიდებულია ეკონომიკური აგენტების მხრიდან საბანკო კრედიტებზე მოთხოვნის ცვლილებებსა და მისი ღირებულებისადმი მგრძობელობაზე.

ამრიგად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საბოლოო მიზნები უნდა იყოს: ინფლაციის ტემპის შემცირება, ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაცია, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდა, ინვესტიციების გადიდების ტემპისა და დასაქმების უზრუნველყოფა. აღნიშნულის წარმატებით რეალიზაცია გულისხმობს, როგორც ცენტრალური ბანკის ინსტრუმენტების, ასევე საოპერაციო და შუალედური მიზნების მაღალ ეფექტურობას.<sup>24</sup>

<sup>23 24</sup> ხათუნა ბარბაქაძე - კომერციული ბანკების რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში

## **§4.2 კომერციული ბანკების არაპროფილური საქმიანობა საქართველოში**

კომერციული ბანკების მიერ არასაბანკო საქმიანობაში ჩართვის მონიტორინგს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები და მათი ცენტრალური ბანკები წლებია ახორციელებენ და სხვადასხვა შეზღუდვებსაც უწესებენ. ასე რომ ეს საკითხი, არამარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც აქტუალურ თემას წარმოადგენს. მსოფლიო ბანკმა 2012 წელს „ბანკის რეგულირების და ზედამხედველობის კვლევა“

ჩაატარა, სადაც ერთ-ერთი თემა სწორედ კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობის საკითხი იყო.

ბანკების არაპროფილური საქმიანობა - გამონვევაა, რომელიც წლების განმავლობაში, მოუგვარებელ პრობლემად რჩება. რა ხდება დღეს ამ ბაზარზე და როგორია საერთაშორისო პრაქტიკა? კომერციული ბანკები მნიშვნელოვნად აქტიურობენ და აგრესიულ მარკეტინგულ ნაბიჯებს დგამენ. არაპროფილურ ბიზნესებში შესვლით კომერციული ბანკები პრაქტიკულად ულიმიტო და შეუზღუდავი ფინანსური შესაძლებლობებისა და საკმაოდ ძლიერი ლობის გათვალისწინებით, მათი შვილობილი კომპანიების მეშვეობით მალევე მოიპოვებენ ბიზნესის ამა თუ იმ სფეროში დომინანტურ მდგომარეობას და ჩნდება რისკი, პირდაპირ თუ ირიბად შეზღუდონ ამ სფეროებში მომუშავე კომპანიების საქმიანობა. ან, უბრალოდ, შექმნან „ბუნებრივი“ მდგომარეობა ბიზნესის ამა თუ იმ სეგმენტიდან სხვა კომპანიების განდევნისათვის. კონკურენციის გარეშე ეკონომიკა ვერ გაიზრდება. მთავრობა დაკარგავს ბიზნესის ნდობას, რადგან არსებობს კანონი და ის არ სრულდება.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2014 წელს გამოსცა ნორმატიული აქტი, იგივე განკარგულება, რომლითაც საბანკო სექტორს არაპროფილური ბიზნესის (საქმიანობის) წარმოების უფლება შეეზღუდათ და კომერციული ბანკები ვალდებულები იყვნენ 2015 წლის 31 დეკემბრამდე არაპროფილურ აქტივებზე უარი ეთქვათ. თუმცა, როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ეროვნული ბანკის ეს მითითება არ შესრულებულა. ეს ყველაფერი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კომერციული ბანკებისადმი წერილობითი დავალების გაცემის საფუძველზე მოხდა და ამით შემოიფარგლა. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება კი, მაგალითად საქართველოს კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, არ განხორციელებულა. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები არაპროფილურ აქტივებს ფლობენ ბიზნესის ისეთ სეგმენტებში, როგორცაა ლიზინგი, დაზღვევა, ტურიზმი, უძრავი ქონების სექტორი, სწრაფი გადახდების აპარატები. კომერციული ბანკები კონკურენტებს პირველ რიგში ფინანსებზე წვდომას უზღუდავენ, რითაც ბაზარზე არაკონკურენტულ გარემოს ქმნიან და სეგმენტის სხვა მოთამაშეებს

განვითარების საშუალებას არ აძლევენ და მათ აიძულებენ რომ დატოვონ ბაზარი. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში მოქმედი 15 კომერციული ბანკიდან არაპროფილურ აქტივებს ძირითადად ორი მათგანი ფლობს: „საქართველოს ბანკი“ 61 შვილობილი კომპანიის მესაკუთრეა, ხოლო „თიბისი ბანკი“ კი - 10 - ის. მეტი სიცხადისათვის 2 ქართული ბანკის მაგალითს მოვიხმობთ. ეროვნული ბანკის მონაცემებით, „საქართველოს ბანკი“ 100 % - ს ფლობს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“ - ში, შპს „თელიან ველში“ – 51,23% - ს, შპს „ინტერტურში“ - 99,99% - ს, პროფესიული კალათბურთის კლუბ „დინამოში“ - 100 % - ს. „საქართველოს ბანკს ასევე აქვს წილობრივი მონაწილეობა საქართველოს რეგიონებში განთავსებულ 11 სამედიცინო კლინიკაში“.

რაც შეეხება „თბს ბანკს“, ის ფლობს სალიზინგო კომპანია „თიბისი ლიზინგის“ 89 % - ს, არასაბანკო საკრედიტო დაწესებულება „თიბისი კრედიტის“ 75 % - ს, საბროკერო კომპანია „თიბისი ბროკერის“ 100 % - ს, „გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის“ 93 % - ს, „თიბისი ფეის“ 100 % - ს და ა.შ.

საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, კომერციულ ბანკებს მხოლოდ საბანკო საქმიანობის უფლება აქვთ - ანუ, შეუძლიათ მოქალაქეებისგან მიიღონ ანაბრები (დეპოზიტები) და გასცენ სხვადასხვა სახის სესხები. სხვა კომერციული საქმიანობის უფლება ბანკებს არ გააჩნიათ. ასე იყო საქართველოშიც 2008 წლის აგვისტოს ომამდე. შეიძლება ითქვას რომ ამ ომმა ბანკებს „სულზე მოუსწრო“, რომლებიც არასწორი მენეჯმენტის გამო საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. კერძოდ, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით 4 მილიარდ დოლარიანი საერთაშორისო დახმარებიდან საბანკო სექტორმა 1 მილიარდ დოლარამდე დახმარება მიიღო. იმ პერიოდში ბანკებს მიეცათ ნებისმიერი სახის ბიზნესის წარმოების უფლება. ამ ყველაფერმა გამოიწვია საბანკო სექტორის ხელოვნურად გაბერვა, საბანკო რესურსების არარაციონალურად გამოყენება და ხშირ შემთხვევებში სარისკო ბიზნესებში ჩადება, კონკურენციის შეზღუდვა, მონოპოლიების ხელშეწყობა და ა.შ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კომერციული ბანკების არასაფინანსო სექტორში განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით განსხვავებული დამოკიდებულება

არსებობს. კომერციული ბანკებისათვის ქვეყნების უმრავლესობაში შეუზღუდავია ფასიანი ქაღალდების ფლობა და სადაზღვევო საქმიანობის წარმოება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სფეროებში საქმიანობის განხორციელება კომერციულ ბანკებს სრული სპექტრით შეუძლიათ. რაც შეეხება ისეთ სფეროს, როგორც არის უძრავი ქონების სექტორში ბიზნეს აქტივობა, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ მათი განხორციელება - აღნიშნული საქმიანობა არ შეიძლება განხორციელდეს არც ბანკისა და მისი შვილობილი ან მფლობელის/ჰოლდინგის სხვა საწარმოს მიერ. სწორედ მრავალი ქვეყნის გამოცდილებისგან განსხვავებით, საქართველოში არაპროფილური ბიზნესის ფლობა საბანკო სფეროსათვის ნებადართული საქმიანობაა, რომელსაც კომერციული ბანკი ან უშუალოდ, ან შვილობილი კომპანიის მეშვეობით ახორციელებს.

ბანკების არაპროფილური საქმიანობის მსოფლიო პრაქტიკიდან საუკეთესო მაგალითად აშშ ითვლება, სადაც ამ სფეროს მიმართ მიდგომა რამდენიმეჯერ შეიცვალა. ამერიკის კონგრესმა, მთავრობამ კომერციულ ბანკებს არასაბანკო საქმიანობაში წილის ქონა და მონაწილეობა აუკრძალა, ანუ კომერციულ ბანკებს არ ჰქონდათ საფონდო ბირჟაზე თანხების განთავსების, არაპროფილურ აქციებში თანხის ჩადების უფლება და ეს აკრძალვა 2000 წლამდე მოქმედებდა. თუმცა, ეს კანონი ბილ კლინტონმა გააუქმა და ბანკებს კვლავ მიეცათ უფლება, არასაბანკო საქმიანობაში დაეხმარებინათ რესურსები, შეეძინათ სამშენებლო და სადაზღვევო კომპანიები, საფონდო ბირჟაზე ეთამაშათ და სხვ. ამ ყველაფერმა სულ რაღაც 7 წელიწადში დიდ რეცესიად წოდებული მეორე მსოფლიო კრიზისი გამოიწვია.

მას შემდეგ, რაც კლინტონმა შეზღუდვა მოუხსნა კომერციულ ბანკებს, მსოფლიოში მასიურად მიბაძეს ამერიკის ახალ სტრატეგიას. საქართველოშიც გატარდა ეს ლიბერალური პოლიტიკა და 2000-იანი წლებიდან მოყოლებული, 4-6 წლის მანძილზე მოქმედებდა. მას შემდეგ, რაც ამერიკა მიხვდა, რომ კლინტონის გადანყვეტილება შეცდომა იყო, შეზღუდვა კვლავ დაუნესდათ ბანკებს.<sup>15</sup>

ჩემი აზრით, აუცილებელია ბანკებს კანონმდებლობით და თანაც, რეალურად ჩამოერთვათ არასაბანკო საქმიანობის უფლება. ეს ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს

ეკონომიკის განვითარებას, კონკურენციის გაზრდას, საკრედიტო რესურსების გაიაფებას. გარდა ამისა, ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი ჯანსაღი საბანკო სისტემის ჩამოყალიბების გზაზე.<sup>25 26</sup>

<sup>25</sup> [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge) კომერციული ბანკების ინვესტიციები არასაბანკო სექტორებში და მათი მიზანშეწონილობა საქართველოში

<sup>26</sup> [www.commersant.ge](http://www.commersant.ge) ბანკების არაპროფილური საქმიანობა – „ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი“

## დასკვნა

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის სტრატეგიულ მიმართულებებს

წარმოადგენდა:

- არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- ნაკლოვანებების გამოსწორების გზების ძიება;
- საქართველოს საბანკო საქმიანობის ამჟამად და პერსპექტივაში განვითარების პრობლემების განსაზღვრა.

საკითხების შემუშავება საქართველოს საბანკო საქმიანობის ნორმალური რეგულირებისათვის და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში უნდა მოხდეს მკაცრად განსაზღვრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით. სწორედ აღნიშნული ნაკლოვანება მიმაჩნია იმის მიზეზად, რომ საქართველოში არ არსებობს თანმიმდევრული მიდგომა საბანკო საქმიანობაში სისტემური რეფორმის გატარებისადმი და ფაქტობრივად ეს პროცესი შემოფარგლულია მხოლოდ უცხოეთის გამოცდილების გადმოტანითა და ფოტოგრაფირებით, რაც დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს.

საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების გაუმჯობესების საკითხების გადაჭრისათვის აუცილებლად მიმაჩნია კომპლექსურ ღონისძიებათა დამუშავება და პარალელურად, მათი პრაქტიკულად ამოქმედების მექანიზმების განსაზღვრა. აღნიშნული ღონისძიებების გატარებისას მთავარ მიზანს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ახალი საბანკო სისტემის ფორმირებისა და განვითარების პროცესში ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ეკონომიკური თავისებურებების განსაზღვრა. საბანკო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების გაუმჯობესების გზების ძიება.

საქართველოში კომერციული ბანკების ფორმირების და საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბანკო სისტემაში ჩამოყალიბდა მთელი რიგი დადებითი ტენდენციები, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

- განხორციელდა საბანკო რეფორმა, რაც გამოიხატება კომერციული ბანკების რაოდენობრივი შემცირების ფონზე მათი ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნით;
- ინფლაციური პროცესების მართვის საფუძველზე შენარჩუნებული იქნა სხვა ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა;
- სტაბილურ გაცვლით კურსზე დაყრდნობით საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის უმნიშვნელო ამალღებამაც დადებითი ზეგავლენა მოახდინა დეპოზიტებისა და საკრედიტო დაბანდებების ზრდაზე, ბანკების კაპიტალიზაციის მოცულობების გადიდებაზე;
- დეპოზიტების ზრდის ტენდენცია ნასესხებ სახსრებთან შედარებით მეტყველებს იმაზე, რომ კომერციული საქმიანობისათვის საჭირო რესურსების ზრდა ხდება ქვეყანაში ფულადი მასის საბანკო არხებში მოქცევის მეშვეობით;
- მინიმალური სანესდებო კაპიტალის ეტაპობრივმა ზრდამ მნიშვნელოვნად განაპირობა ბანკების კონსოლიდაციის და გამსხვილების პროცესი.

საბანკო საქმიანობის რეგულირების სრულყოფისათვის აუცილებელია ლიკვიდობის ოპტიმალური მართვის მიღწევა, რაც გულისხმობს იმას, რომ ბანკის ლიკვიდობის მართვის სამსახურმა უზრუნველყოს:

- ინფორმაციის უწყვეტი ნაკადის მიღება ლიკვიდობის მდგომარეობის შესახებ და მასზე ოპერატიული რეაგირება;
- სამსახური ვალდებულია, მუდმივად გაათავოთოვოს ინფორმაციის შეგროვების მეთოდი, პირველ რიგში მოკლევადიანი კორექტივებისა და გრძელვადიანი ლიკვიდობის შესახებ და პარალელურად გააუმჯობესოს მისი ხარისხი. აღნიშნული წესი მიზანშეწონილად მიმაჩნია გამოყენებული იქნეს ნებისმიერი ბანკის ლიკვიდობის პროცესის წარმატებით მართვისათვის.

საბანკო საქმიანობის რეგულირების გაუმჯობესება ობიექტურად მოითხოვს ღია სავალუტო პოზიციის ოდენობაზე შეზღუდვების დაშვებას და გამკაცრებას, რაც გამოიწვევს:

- ღია სავალუტო პოზიციის შემოწმების ჩატარებით საკურსო რისკის შეზღუდვას;

- უცხოური ვალუტის ოპერაციებზე საკრედიტო ორგანიზაციების სპეკულაციურ შესაძლებლობათა პირობების მნიშვნელოვან შემცირებას. ვინაიდან, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის სპოტში ბანკის მონაწილეობა იწვევს მისი სავალუტო პოზიციის ცვლილებასაც.

საქართველოში მოქმედი საბანკო რეგულირების ყველა ინსტრუმენტის განხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნა, რომ კაპიტალის საკმარისობის საჭირო დონეზე კონტროლი წარმოადგენს საბანკო რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და ამიტომ, მიზანშეწონილია იგი შევინარჩუნოთ, პარალელურად კი, გავაძლიეროთ კონტროლი მის რეალურ შესრულებაზე;

იმისთვის, რომ მომატებული რისკის მქონე სფეროში საბანკო საქმიანობა წარმატებული იყოს, ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია:

- ბანკებმა განავითარონ რისკის მართვის და გადანყვეტილების მიღების განსაკუთრებული მექანიზმი რომელმაც უნდა განსაზღვროს რა რაოდენობის რისკი და დანაკარგი შეუძლია აიღოს თავის თავზე საკრედიტო დაწესებულებამ;
- განისაზღვროს ამართლებს თუ არა მოსალოდნელი ბანკის მოგება ბანკის მიერ განეულ რისკს;
- შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც რისკის ფაქტორის გავლენის შემცირებას გამოიწვევენ;
- ბანკის ლიკვიდობის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ბანკის მენეჯმენტის კომპეტენტურობაზე და ბანკში დანერგილი საინფორმაციო და კონტროლის სისტემის ადეკვატურობაზე, ვინაიდან, კარგად მომუშავე მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა ბანკის ლიკვიდობის ეფექტიანად მართვის განუყოფელი ნაწილია;
- ბანკის დამფუძნებელთა და აქციონერთა დაკრედიტების შეზღუდვებიდან და მათ ქცევაზე კონტროლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე მიზანშეწონილია საბანკო რეგულირების მოქმედი ნორმების შენარჩუნება და მათ შესრულებაზე კონტროლის გაძლიერება. კომერციული ბანკების

საინვესტიციო საქმიანობის სერიოზული შეზღუდვები ხელს უშლის კომერციული ბანკების ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საქმეში ჩართვის საკითხების მოგვარებას, ამიტომ უპრიანია იურიდიულ პირთა კაპიტალში ბანკების მიერ წილთა შექენაზე შეზღუდვების გაუქმება. საბანკო სისტემაში საინფორმაციო გამჭვირვალობის მისაღწევად საბუღალტრო საბანკო ანგარიშების რეალობის უზრუნველყოფა და საჭირო ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის. მსოფლიო გამოცდილებამ ცხადყო, რომ დაზღვევის სისტემას მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა შეუძლია, კერძოდ, მან უნდა უზრუნველყოს საბანკო სისტემის სტაბილური მდგომარეობა. შეუქმნას მეანაბრეებს გარანტიები ბანკის გაკოტრების შემთხვევაში კი - აამაღლოს საბანკო სისტემისადმი ნდობის ხარისხი.

საბანკო ზედამხედველობის მთავარი ამოცანაა არა კონკრეტული კრედიტების და მეანაბრეების დაცვა, არამედ საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება ე.ი. არ დაუშვას სისტემური კრიზისი, როდესაც რამდენიმე ბანკის საფინანსო მდგომარეობა იწვევს საბანკო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილის ლიკვიდობის დარღვევას.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საბანკო ზედამხედველობის არასრულყოფილება იწვევს:

- უნდობლობას ეროვნული მეურნეობის სუბიექტების საბანკო დანესებულებების მიმართ;
- სათანადო ინფორმაციის არარსებობის გამო კლიენტებს ფაქტობრივად არ აქვთ ბანკის რაციონალური შერჩევის საშუალება;
- პანიკური განწყობის წარმოქმნის შესაძლებლობის მაღალ დონეს;
- საკრედიტო რესურსების შესაძლებელ გადადინებას უფრო მყარი საბანკო სისტემის ქვეყნის ბანკებში, რაც მთლიანობაში საბანკო ურთიერთობების თავისებურებებს წარმოადგენენ: საერთო საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო პირობების შექმნით, რომელიც კომერციულ ბანკებს საშუალებას მისცემს მოახდინონ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების რეალიზება. ფულად-საკრედიტო რეგულირების ღონისძიებების განხორციელებით,

რომლებიც ზემოქმედებას მოახდენს კომერციული ბანკების რესურსების ოდენობის შეცვლით მიმოქცევაში ფულადი მასის მოცულობასა და სტრუქტურაზე, კომერციული ბანკების რესურსების ოდენობის შეცვლით, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ეკონომიკის დასაკრედიტებლად. ბანკების ბალანსის ლიკვიდობის უზრუნველყოფის მიზნით ეკონომიკური ნორმატივების დადგენით და მათზე ზედამხედველობის გაძლიერების საფუძველზე;

- საბანკო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისა და საკმარისი სარესურსო ბაზის ფორმირებისთვის აუცილებელია: საკუთარი კაპიტალის მართვა, ეფექტური სადივიდენდო პოლიტიკის გატარება;
- პირობების შექმნა ახალი კლიენტების მოსაზიდად მოზიდული რესურსების მოცულობის გაფართოების მიზნით;
- სადეპოზიტო ბაზის ჩამოყალიბება და განმტკიცება;
- სარესურსო ბაზის გაფართოებისათვის ახალი სახის ოპერაციების, საბანკო ტექნოლოგიებისა და ბაზრების ათვისება;
- აქტიური ოპერაციების შემოსავლიანობის უზრუნველყოფა.

საქართველოს საბანკო სისტემის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა საკრედიტო რესურსების ეროვნული ეკონომიკის მასშტაბებთან და მოთხოვნილებებთან შეუსაბამობა, ამიტომ აუცილებელია საბანკო სისტემის ტრანსფორმაცია კაპიტალის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, რომელიც უნდა გაიზომოს შემდეგი მაჩვენებლებით:

- ბანკის ფონდების სიდიდის შეფარდებით შესაძლო დანაკარგებთან;
- ბანკების ფონდების სიდიდის შეფარდებით ბანკის იმ ვალდებულებებთან, რომლებიც განისაზღვრება მოზიდული სახსრებითა და ბალანსგარეშე ვალდებულებათა მოცულობით;
- აქტივების მობილიზაციის ხარისხით.

ყოველივე ზემოთაღნიშნული საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ ის უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის საკრედიტო რესურსების უზრუნველყოფის სისტემის ფორმირებას:

- არამდგრადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემისა და ეკონომიკის განვითარების დაბალი დონის გამო უცხოური ფიზიკური და იურიდიული პირების დაინტერესება საფინანსო ბაზრით ნაკლებია;
- მოსახლეობის ნდობა მიძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საბანკო სისტემის მიმართ დაბალია, რადგან დანაშოგების სისტემა არ არის განვითარებული და ბანკებს უჭირთ შიდა ბაზარზე რესურსების მოზიდვა;
- ფულადი რესურსების ბაზარზე დაფიქსირებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები, მიუთითებს საბანკო სისტემის ფინანსური რესურსების სიმცირეზე.

აღნიშნული ნაკლოვანებების და საკრედიტო რესურსების უზრუნველყოფის სისტემის ფორმირების მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- ✓ კომერციული ბანკების სიცოცხლისუნარიანობის, მათი მოგების შემავსებელი წყაროს გაზრდისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მათ ინტეგრაციას საზღვარგარეთულ ბანკებთან, საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნას და სავალუტო ოპერაციების წარმოებას უცხოური ფირმების სახსრების მოზიდვას საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე;
- ✓ ბალანსის ლიკვიდობის შესანარჩუნებლად ვადიანი დეპოზიტების მოზიდვა და მოთხოვნამდე დეპოზიტებით ანუ ე.წ. „იაფი“ რესურსების მოზიდვით მოგების მიღება;
- ✓ აუცილებელია დამატებითი რესურსების ძებნა ვალდებულებების დასაფარად და ბანკის აქტიური ოპერაციების გასაფართოვებლად;
- ✓ კომერციულმა ბანკმა უნდა გამოიჩინოს მარკეტინგული აქტივობა ბანკის პასიური ოპერაციების შედეგიანობის ამაღლებისთვის და მოზიდული სახსრების

ეფექტური განთავსებისათვის, მათი საკრედიტო, სალიზინგო და ფაქტორინგული ოპერაციების გაფართოებისათვის;

- ✓ ამასთან, საჭიროა ბანკის კაპიტალის იმ ოდენობით დაცვა, რაც აუცილებელია ბანკის საიმედოობის უზრუნველსაყოფად და ასევე აქტიური ოპერაციების გასაფართოებლად;
- ✓ საჭიროა, რომ საგადასახადო კანონმდებლობაში აქცენტი გაკეთდეს კომერციული ბანკების მიერ სანარმოებსა და ორგანიზაციებზე სესხების გაცემისას მათი საქმიანობის სტიმულირებისა და სანქციების რეჟიმზე.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიმაჩნია ფულადი რეზერვების შექმნის მეთოდის სრულყოფა ეროვნული ბანკის მიერ, სადაც გათვალისწინებული იქნება რეზერვების დიფერენციაცია:

- საკრედიტო დანესებულების ტიპის მიხედვით;
- აქტივების სიდიდის მიხედვით;
- რეგიონის თავისებურებების ფულადი და ბაზრის მდგომარეობის გათვალისწინებით;
- დეპოზიტების სახეობებისა და ვადების მიხედვით;
- კომერციული ბანკების აქტივების შემადგენლობის და სტრუქტურის მიხედვით;
- მინიმალური რეზერვების დიფერენცირება, აგრეთვე დეპონირებული თანხის დამოკიდებულებით ფულადი მასის ამა თუ იმ აგრეგატთან, რომელსაც ფლობს კომერციული ბანკი;
- სავალდებულო რეზერვების თანხაში ჩაითვალოს სახსრების დაბანდება კომერციული ბანკების მიერ ისეთ სახელმწიფო ფასიან ქალაქებში, რომლებსაც მოგება მოაქვთ;
- მინიმალური რეზერვების შენახვისათვის კომერციული ბანკებისთვის ნაწილობრივი კომპენსაციის გაცემა.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების დაკრედიტების რეზერვების შექმნისა და გამოყენების საკითხების სახელმწიფო რეგულირება უნდა განხორციელდეს

კომერციული ბანკების ოპერატიული საქმიანობის ეკონომიკური ნორმატივების დადგენის მეშვეობით, რომელთა ეფექტურობაზე საუბარი შესაძლებელია მაშინ, როდესაც მიიღწევა ბანკის მაკროეკონომიკური წონასწორობის და ფართო ინიციატივის რაციონალური შეთავსება.

განვითარებული ქვეყნების დეპოზიტების დაზღვევის სისტემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეფექტიანად ფუნქციონირებადი დეპოზიტების დაზღვევის სისტემას მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა შეუძლია:

- უზრუნველყოს მისი წევრებისა და მთლიანად საბანკო სისტემის მდგრადობა;
- გაკოტრების ზღვარზე მყოფი ბანკების ფინანსური მხარდაჭერა;
- მენაბრეების დაცვა ბანკის ფინანსური მდგომარეობის გართულების შემთხვევაში ანაბრების (დეპოზიტების) მთლიანად დაკარგვისგან;
- შეუქმნას მენაბრეებს გარანტიები ბანკის გაკოტრების შემთხვევაშიც და აამაღლოს საბანკო სისტემისადმი ნდობის ხარისხი.

საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებისათვის მსოფლიოში არსებული გამოცდილების ფოტოგრაფირება ეკონომიკის თავისებურებებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინების გარეშე მიუღებლად მიმაჩნია. ამიტომ აღნიშნული საკითხი მოითხოვს მეცნიერულ და პრაქტიკულ გააზრებას, რადგანაც გასათვალისწინებელია რამდენად არის მზად ჩვენი სახელმწიფო, მისი ეკონომიკა, პირველ რიგში, კი თვით საბანკო სისტემა ასეთი საპასუხისმგებლო საქმისათვის.

საბანკო დეპოზიტების დაცვის სისტემას სისტემური ხასიათი უნდა ჰქონდეს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. ამისათვის კი აუცილებელია რომ:

- სადეპოზიტო დაცვა გამაგრებული სამართლებრივად უნდა იყოს;
- გააჩნდეს გაანგარიშების ზუსტად დამუშავებული მეთოდოლოგია;
- ჰქონდეს სესხების რეგულირების, შეფასების და კონტროლის ოპტიმალური სისტემა;

- სახელმწიფო მოხელეებს უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება და გადაეცეს ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია გაკოტრებული გადახდისუუნარო ბანკების მიმართ სპეციალური ღონისძიებების გასატარებლად;
- სადეპოზიტო დაცვის სისტემა შემოღებული უნდა იქნეს რესტრუქტურისაციის შემდეგ, მან უნდა მოიცავს ყველა ბანკი, უზრუნველყოს ყველა ტიპის დეპოზიტების შეუზღუდავი დაფარვა და სწრაფი კომპენსირება ბანკის გაკოტრების შემთხვევაში.

საბანკო დეპოზიტების დაზღვევის ეფექტიანმა სისტემამ მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ბანკთა გაკოტრების შესაძლებლობა და ამასთანავე გადაწყვიტოს მასთან დაკავშირებული პრობლემები. ასეთი სისტემის შექმნა გულისხმობს შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებას:

- საკანონმდებლო ბაზის შექმნას საბანკო დეპოზიტების სადაზღვევო სისტემისათვის;
- საბანკო საქმიანობისა და სტრუქტურის ანალიზს;
- სადაზღვევო სისტემის ადმინისტრაციული რეგულირების ორგანიზაციას;
- დამოუკიდებელი სახელმწიფო მმართველობის ორგანოს შექმნას;
- სადაზღვევო სისტემის ფინანსურ და საკრედიტო უზრუნველყოფას.

ზემოთაღნიშნული მიზნების მისაღწევად აუცილებლად მიმაჩნია დამუშავდეს კომერციულ ბანკებში კანონი დეპოზიტების დაზღვევის შესახებ და მისი ამოქმედების მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც ჩამოყალიბდება დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, განსაკუთრებული საგარანტიო ინსტიტუტი, რომელიც, როგორც წესი, მჭიდროდ იქნება დაკავშირებული სახელმწიფოსთან და კრედიტორების ნდობით ისარგებლებს.

კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირებაში ეკონომიკური ნორმატივების გამოყენების თვალსაზრისით, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ანალიზმა აჩვენა, რომ განვითარებულ ქვეყნებში მინიმალური სავალდებულო ნორმების დანესებაზე ცენტრალური ბანკების უფლება შეზღუდულ ხასიათს ატარებს, რაც კანონის საფუძველზე ნორმების დადგენით არის გამოწვეული. ამასთან, საბაზრო

ეკონომიკის პირობებში საბანკო სისტემის მართვა ხორციელდება ეკონომიკის მონეტარული სტაბილურობით, ეკონომიკის განვითარების ტემპებით, თითოეული კომერციული ბანკის საიმედოობისა და ლიკვიდობის ზრდით, სავალდებულო მინიმალურ რეზერვში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობის ჩათვლისა და ბანკში არსებული სარეზერვო ანგარიშის ნაშთზე პროცენტების დარიცხვით, რაც ჩვენი ქვეყნის საბანკო სისტემის ფუნქციონირებაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

კომერციული ბანკების საიმედოობის და მდგრადობის ფაქტორების ანალიზის კომპლექსური მიდგომიდან გამომდინარე, აუცილებელია გამოიყოს შემდეგნაირი მეთოდოლოგიური დაჯგუფება:

- საერთო ეკონომიკური ფაქტორები;
- სახელმწიფო და სამართლებრივი ფაქტორები;
- საბანკო სისტემაში სახსრების მოძინების წყაროების მიხედვით ფაქტორები;
- საბანკო რესურსების განვითარების მიხედვით ფაქტორები;
- შიდა საბანკო საქმიანობის ფაქტორები.

როგორც პრაქტიკა გვანახებს, კომერციული ბანკების მდგრადობაზე, ნეგატიურ გავლენას ახდენს საბანკო საკანონმდებლო ბაზის განუვითარებლობა და მიღებული კანონების უმოქმედობა. ეს ეხება, როგორც საგადასახადო კანონმდებლობას, ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებს.

თანამედროვე ეტაპზე საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სისტემის ძირითადი მიზანია:

- მოსახლეობის და ბანკის კლიენტურის ნდობის აღდგენა გარანტიების სისტემის შექმნით;
- საბანკო სისტემის მდგრადობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა კონტროლის გაძლიერებით.

ბანკის მდგრადობა დამოკიდებულია კაპიტალის, საქონლის და მომსახურების ეროვნული და საერთაშორისო ბაზრების ტენდენციაზე, ასევე ქვეყნის კრედიტუნარიანობაზე, საკრედიტო ორგანიზაციის კრედიტუნარიანობის რეიტინგზე,

სავალუტო კურსებისა და ეკონომიკური ინდექსების რყევასა და სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციებზე. ბანკების მდგრადობაზე უშუალოდ ზემოქმედებას ახდენს ასევე საბანკო სისტემაში დაგროვილი დისპროპორციები, კერძოდ, მხედველობაში მაქვს საკრედიტო ორგანიზაციების არგადახდების მულტიპლიკაციის მექანიზმი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საქართველოს კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების მეთოდის სრულყოფა გულისხმობს ანალიზისა და აღრიცხვის ახალი ფორმების დამუშავების აუცილებლობას აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, ვინაიდან არსებული სისტემისგან განსხვავებით, ბალანსი ვერ აკმაყოფილებს აქციონერებისა და ინვესტორების ინტერესებს, იგი მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებში წარსადგენად მზადდება. აღნიშნული სტანდარტების მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია კი ყველა დაინტერესებული პირისათვის გასაგები ხდება. უცხოელი ინვესტორები კაპიტალს აბანდებენ მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომელთა სტანდარტები მათთვის ცნობილ სასურველ სტანდარტებს შეესაბამება.

კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი პირობებისა და ფაქტორების განხილვა საზღვარგარეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

- საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო სისტემის მდგრადობა და საიმედოობა განხილული უნდა იქნეს დინამიკაში, რომელიც მნიშვნელოვანია არამართო საქმიანი აქტივობის დაცემის დროს, არამედ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის პროცესში;
- საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა გულისხმობს, როგორც ამა თუ იმ ბანკის მესაკუთრეთა ინტერესების დაცვას, ასევე კლიენტებისა და მეანაბრეების, მთლიანად საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, ქვეყნის საბანკო სისტემის საქმიანობის სტაბილიზაციას და განმტკიცებას.<sup>26</sup>

<sup>26</sup> ხათუნა ბარბაქაძე - კომერციული ბანკების რეგულირების საკითხები საქართველოს საბანკო სისტემაში

### გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. კაკულია, თ. მურღულია - გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო სისტემის ფორმირების შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, ტომი III, თბილისი, გამომცემლობა „ფინანსები“, 1999.
2. Захаров С.В. Банки. Регулирование. Ликвидность. Журн. «Деньги и Кредит» - 1996.
3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №246 დადგენილება, 1993 წლის 24 მარტი. საქართველოს ეროვნული ბანკი. 1993 წლის 1 აპრილის დადგენილება
4. საქართველოს ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში, 2007 - 2018
5. ხათუნა ბარბაქაძე - საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში, 2008 წ. თბილისი
6. ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, გამომცემლობა „სეზანი“, 2014 წ

7. საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ბრძანება №8, 2008 წლის 26 სექტემბერი
8. საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონი. თბილისი. 2008. მუხლი 52.
9. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, თბილისი 2008.
10. მანაგაძე ი. „საქართველოს საბანკო სისტემა XXI საუკუნის მიჯნაზე“ ჟურნ. „ბანკი.“ 2000. №1. გვ. 3
10. გ. გამსახურდია საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი 1995. გვ. 167
12. Государство в меняющемся Мире. Отчет О Мировом развитии Публикаций всемирного банка. М. изд.ИКЦ «ДИС».1997. с. 82. «ДИС».1997. с. 82
13. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. გამომც. „სამართალი“, თბილისი. 2000, გვ. 264, გვ. 289
15. მარიამ ებიტაშვილი, გვანცა მირვატია, ნათია ჯაფარიძე - კომერციული ბანკების როლი და გავლენა ქართულ ეკონომიკაზე, შედარებითი ანალიზი საერთაშორისო პროექტიკასთან
16. ხათუნა ბარბაქაძე - საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის განმტკიცების აუცილებლობა, ჟურნალი „ეკონომიკა“
17. ბესო ნამჩავაძე - როგორ ვითარდება ქართული საბანკო სისტემა <http://forbes.ge/news/1674/rogor-viTardeba-qarTuli-sabanko-sistema10>
18. ვახტანგ ნამორაძე - ბანკები საქართველოში <https://forbes.ge/news/1710/bankebi-saqarTveloSi>, EY საქართველო. 04 ნოემბერი, 2016 • ფინანსები
19. საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგია
20. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3650>
21. <https://commerciant.ge/ge/post/bankebis-araprofiluri-saqmianoba-qveynis-ganvitarebis-ert-erti-xelis-shemshleli-faqtori>
22. <http://sab.ge/ge/activities/research/249-komerciuli-bankebis-mier-arapropiluri-aktivebis-plobis-saertashoriso>
23. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/92/monetaruli-statistika>

24. <https://www.bm.ge/en/article/kommerciuli-bankebisatvis-minimaluri-sazedamxedvelo-kapitali-gaizarda-/11353>
25. <https://sputnik-georgia.com/opinion/20180719/241356363/kommerciuli-bankebi.html>